

V

კარი მესუთე

ყარამანიანი

სკარსულიდან მართულად ნათარგმნი, სალთხუის და
სარდლის თავ. დავით ოკრამლიანისაგან. „სააშოთ სა-
სმენელი“.

შესაბე გამოცემა საქუთარის რედაქციით


დ. ლაზარევის-მიერ.

ბ ვ ი ლ ი ს ი

ელექტრო-ბეჭდვა სტამბა „ნადედა“

1914

შინა-არსი



აქ რაიზამის პიოველის ფალევენის ყაპარისა და ხოსროვშირის ომი ფიც-ხელი.—სარვიჭურამანისა და ყაპარის ომი, ოდეს ყარამანი სანადიროთ წავიდა.—ყაპარისა და უშანგის ჯარის ომი და ყაპარისაგან მრავალთა ფალევენთა შეპყრობა და ბარამჯობლისაც.—ყარამანის მოსვლა ხელმწიფე უშანგთან და გარდანქეშანისაგან ერანელთ პყრობილთ განთავისუფლება და იმლაშას სიკვდილი მ ცდურობით გარდანქეშანისაგან, და იმლაშას სალაროს (ხაზინის) აკლება.—ყარამანისა და ყაპარის ომი და ყარამანისაგან დამორჩილება ყაპარისა.—ქლიერის ფალევენის ჯალაირის სულთანის ადლან-ჰანდილის მოსვლა რაიზამის შემწედ და ამის აიარისაგან უშანგ-შაჰის აიარების შეპყრობა. გარდანქეშანისა, შირფანჯისა, ასიმისა, სერაბისა, სელანისა და ელუნის შეპყრობა, შაბრანგისაგან და მათი გამოხსნა.—გარდანქეშანისაგან ჩალაქის გატყვევება.—ყარამანისა და ადლან-ჰანდილის ბრძოლა ქლიერი, ცამეტ დღეს და ყარამანისაგან მისი სიკვდილი.—აქ სალსალისა და არყასის მოსვლა რაიზამის შემწედ მათსაპარისა ჯანაუზისაგან შაბრანგის სიკვდილი.—არყასისა და უშანგის ფალევენთა ომი და არყასისაგან მრავალთა ფალევენთა შეპყრობა.—ყარამანისა, არყასისა და სალსალის ომი და ყარამანისაგან მათი დახოცვა.—რაიზამისაგან ლალატობით შერიგება უშანგ-შაჰსთან, აქვე აიართაგან რაიზამის ტახტის თვლების მოპარვა, აქვე ხელმწიფის უშანგისა ქიშპირისაგან გამგზავრების ამბავი და ჩინეთის ხელმწიფის ქალის შერთვა არდევან-შაჰსათვის და შემდეგ ქიშპირისივე წასვლის ამბავი—რაიზამის შვილის ჯუჯან ბახტის და ქიშპირის ხელმწიფის ქეიან-შაჰის ერთად შეყრის ამბავი, ოდეს ჩინეთი აიღეს, უშანგისა ყარამანისა და სხვათა ერანელთა დიდებულთა ხაზინის წაღება და იქ მყოფ ბანოვანთა და არდევან-შაჰის საცოლოს წაყვანა და ფარმანია ციხეში შეყვანა, აქვე ყარამანის შემოწყობა და წასვლა, სულეიმანის ბაღთან უშანგ-შაჰსს შემოსწყრა.—გარდანქეშანისაგან სულეიმანის ბაღში შესვლა, იქ ურიცხვთა თილისმათა გარდევნა და მრავალთა პყრობილთა განთავისუფლება. გარდანქეშანისაგანვე ჩინეთის აკლების შეტყობა ოდეს კოშკში ავიდა.—ყარამანის ამბავი, ოდეს ჯინისტანში მივიდა, უშანგის მწყრალი, შამბას:რ დევის მოკვლა და მნათობის ჰურილანის გამოხსნა და თავის ქმრისთვის ჩაბარება.—ზღვს აღიღება და ხომალდების დაფანტვა, ჯუჯანბახტის სპასპეტის ყარაფასაგან უშანგ-შაჰსს ჰარემს დატყვევება და რაიზამთან მისხმა.—უსაკვირველესი ამბავი გარდანქეშანისა. ოდეს რაიზამ თუ ვითარის ოსტატობით მოკლა და უშანგის ჰარემი ვითარ გამოიხსნა და მერე ზღვის კოშკში თუ როგორ ავიდა და დაფს დაჰკრა, ოდეს ზღვაში იხსდნენ და ხომალდები მოარჩინა.—ხოსროვშირის და გარდანქეშანის ამბავი მოიხსენიეთ.—აქ გარდანქეშანის ამბავი მოიხსენიეთ, როდესაც არდევან-შაჰა ჰაერით მოიტაცეს, აქვე გარდანქეშანის ამბავი ოდეს კოშკიდან გადმოვარდა და ზართის-ზირადევი მოკლა და სხვა საკვირველი ამბავი გარდანქეშანისა.—აქ უშანგის მცირე ამბავი.

მეხუთე კარის სურათები:

1. გავუღვი ჩაღაქ აიარო და ჩაღაქის ამხანაგნი, გარდანქეშანისაგან.
2. აღღან-ჭანდილს თავსა ჭევეთავს უარამანი, ცამეტ დღის ბრძ. შემდეგ.
3. ზორაბის გამოცხადება, ფალეგან უარამანის წინაშე.

ყარამანიანი

ამბავი ყარამანისა, კვალად იწეება, ამბავი ებჭარისა, ადლან-ჭანდილისა, ჩალაქ-აიარისა, არქას-სალიმისა, ჯანსუს აიარისა, შემდეგ სულეიმანის ბაღისა და ფარმანია ციხის ამბავი და ზღვის კოშკისა, ინდოეთის სელმწიფის დროს რაიაზმისას, რომელსაც ეწოდებოდა შამალ-შაჰა.

იმ უამად, როდესაც ყარამანის შემწეობით უშანგ-შაჰიმ ინდოეთი დაიპყრო და საბრძანებლად თავისად ჰყო, მაშინ რაჭინდისა და ქეთან-შაჰის პირველს ძმას რაიზამს რომელიც იყო ინდოეთის სელმწიფე და მკონებელი ათას ცხრა-ასის ციხისა, ოთხი ათასის ჭაღაგისა და ათას ორასის კუნძულისა. მას მოხსენდა ესრედ: „ვითა. ერანიდამ ერთი სელმწიფე მოსულა, სახელად უშანგ-შაჰა ეწოდებოდა. თქვენი ორივე ძმები ჭინდისა და სინდის სელმწიფენი, რაჭინდი და ქეთან-შაჰა დაუტყრიან, ახვის სარწმუნოებაზედ მიუქცევია, ჩვენი ღმერთები დაუმტყრევიათ და საბოთ ღმერთი უწამებიათ“. იმ უშანგ-შაჰას, პირველად შენი უნცროსი ძმა რაჭინდი შეპია, საკვირველი და ფიცხელი ომები გადაუხდია, მრავალი სახელოფანი ფაღვეანი დახოცია. უშანგ-შაჰას ერთი სახელოფანი ფაღვეანი ჰყავს, სახელად ყარამან წოდებული, იმის შემწეობით შენი ძმა ძლეულა. იმ ფაღვეანს სპანდიერბარი სარდალი, თავისის მხეტით ოთხად გაუკვეთია, შემდეგ რაჭინდს რომ ბრძოლის დონე აღარა ჰქონია, უშანგ-შაჰას დამორჩილებია და თავისი ასული სარგებურამანი, ყარამანისათვის

ცოლად მიუცია, შემდეგ უშანგ-სელმწიფეს ინდოეთი. ისევე რაჭინდისთვის მიუცია და ახლა რაჭინდი იმის მონა არისო. შემდეგ ესეთი საქმე თქვენს შუათანა ძმას ქეთან-შაჰას შეეცეო, მსწრაფად ჯარები შეეყარა განრისხებით, ყარაშიჯინი და აზრად შეთილისმის ძმა ოჭყალი ჯადო მოუწვევია თავის შემწედ, თუმცა უშანგ-შაჰისთვის მრავალი კანსაცდელი შეემთხვევიათ მაგრამ ბოლოს ისევე ყარამანს უმჯობებია. ოჭყალი და მისნი ძმანი ფალანგსარი და აზრადი ყველა ამოუწვევტია, სელმწიფე ქეთან-შაჰაც დაუმორჩილებია და ყარაშიჯინიც, ორივე თავის სარწმუნოებაცედ მოუქცევიათ და თქვენი ბიძის სარჯანის ასული გულჩინი, ხოსროვირისთვის ცოლად მიუთხოვებია, სინდეთი ისევე ქეთან შაჰისთვის მიუცია და აწ შენი ორივე ძმანი უშანგ-შაჰას მსახურებენო“.

როდესაც რაიაზამმა ეს ყოველი მოისმინა, ერთი საშინელი შესძახა და ქვეყანას დაეცა და თავსა და ზირს იცემდა და ესე იტყოდა: „ვაი, ვაი ქვეყანავ დაქცეულა, რომ ამისთანა საქმე ჩემს ყურს არა სმენოდა! ეს რა დასათმობია რომ ჩემი კერში ბაბუთი დაუმტოვრებიათ, მე სიტყვებზე რაღათ მინდა? ესე სთქვა და რამდენსამე ხანს უცნობო შეიქმნა, შემდეგ ზევით აისედა და დიდის ხმით შესძახა! „აღმართეთ ჩვენი ღმერთები, ბაბუთი და აღავსიეთ ძლიერი ცეცხლი, რომ გამოვთხოვოთ და წავიდეთ, ის ჩემის ძმების მომტურებელი დავხატოთ და ჩემი ძმანიც აღარ გავავითხო რომ დაურჯულეებულან, უშანგი და ყარამანიც ქვეყნიდან აფხვრცო“. მსწრაფად აღმართეს ერთი კაცის სახე სპილენძის კერში და აღავსნეს საშინელი ცეცხლი, შემოიკრიბნენ ერნი, შემდეგ თვით რაიაზამ მობრძანდა, სიმრგვლივ დაიხოქეს და ყველამ თავიანი სცეს, მხარ-ჩახდით ვით ინდოთ წესი იყო. იმ უამად იმ ცეცხლიდამ ერთი ხმა გამოხდა: „ჩემო მონავ რაიაზამ! წარგედ ვიდეც ერანელი კაცი მოსულა, სახელად რომ უშანგ-შაჰა ეწოდება, ისა და ყარამანი დაიჭირე და ჩემთან მოასხი და თუ ჩემი თავიანის ცემა არ ინებონ, ორივე ოთხად კასჭერ, ამისთვის რომ სხვათა, იმათ მსგავსად ისეთი უკუნური საქმე არ ჩადინონ. რა ეშმაკის ხმა კავიგონეს, რომელიც ცეცხლიდამ გამოლანარაკობდა, დაემხნენ ზირქვე და მძიმეთ თავიანი სცეს. რა ზე აღზდგნენ მსწრაფად შემოიყარეს თვისნი ბრძანების მოჩივნი, მისწერეს წიგნები ყოველსა ქვეყანასა, საცა სახელოვანნი ფალანგინი იყვნენ ყოველივე შოიხმეს. რა ჯარი შემოიყარეს, ამხედრდა სელმწიფე რაიაზამი და წარმოემართა და რამდენსამე დღეს უშანგ-შაჰას სიხლოვას მოაღწიეს.

შემაღ ხელმწიფე უუანგი თავისი ყრამანით და ფაღეუნებთ მეჯლისში ბრანდებოდა, აიარნი შევიდნენ და მოასსენეს: „ხელმწიფეო, ჭინდთა და სინდთა შიმაღ-შაჭა აგერ სიასლოფეს მოსულა მძლავრის ჯარითა, თქვენს საბრძოლველათაო. რა ხელმწიფესა და ყრამანს ესე ესმათ, თუმიცა არ იამათ, მაგრამ არც თუ უწყინათ. როდესაც რაჭინდსა და ქეთან-შაჭას ესე ესმათ, მწუსრებას მიეცნენ. ყრამანმა მათ შეხუდა და მოასსენა: ხელმწიფეო ნუ სწუსართ, ღმერთი მოწყალეა ჩვენ ვძლეფთ. რა ესე მოიუბნეს, ხვალისად ჯარს ომი გამოუტყდაეს; იმ დამეს კამრავლეს ხმანობა, ვითა ვეფლამ საომარი აზარი ჩაიციფითო, ხმალი ქარქაშით აღმოიწოდეთ და ბედნიერი მკლავი საომრათ მოამზადეთ, მშვიდდს ისარი დაუვიდეთ და საბათ ღმერთი ასსენეთ და საომრათ მოემზადეთო მტრის დასაბრძოლებლათ.

აქ რაინხადის ჰირველი ფაღეუნის ყაჭარისა და ხოსროფშირის ომი ფიცხელი.

რა დილა გათენდა, ოსსავე მხრის დაშქარი ამხედრდა შემარჯვენები, შემარცხენი და მეწინავენი წესისამებრ დადგნენ, მაშინ რაინხადის ჰირველი ტასტის ფაღეუნი ყაჭარ წოდებულნი შეიკაზმა სრულიად ფოლადით და საომრად მოედანს გამოვიდა, დიდებულნი გამოჭეუნენ და მოედნის საშუალოს მოივანეს, მათ თავი დაუკრა და გაბრუნდნენ, ამ ყამად ყაჭარმა ცხენი გაქუსლს და შუბს თამაშობა დაწეუბინა და ერანის მხრიდამ ფაღეუნი გამოითხოვა ხოსროფშირი ღამობდა გამოსვლასა და ყრამანმა არ გამოუშვა და უთხრა: მოიცადე თამაშა უუროთო; მტირე ხანს. ვინახოთ ვითარი ფაღეუნი. იმ დღეს ყაჭარმა უშანგ-შაჭის მხრიდამ ოცდა ექვსი ფაღეუნი მოკლა და რამდენიმეც ცოცხალი დაიჭირა, განრისხებულნი მოედანს ტრიალებდა და ფაღეუნს გამოითხოვდა მოედანზედ, შემდეგ შესძახა სად არის ჭაბუკი ხოსროფშირი? რომელსაც თავისთავის ფაღეუნი უწოდებია, რატომ მოედანზედ არ გამოვა რომ მე და იმან ერთმანეთი ვიცნათ. რა ხოსროფშირმა ესე გაიკონა, მსწრაფელ განრისხებულნი ყაჭარს მიუსდა, შესძახა: ჭეო, ფაღეუნო! რახედ გამაყდი? ჯერ სხვის ძალი არ გინახავს, ამისთვის შენი მებრძოლი არავინ გობნო? ესლა გაფოხილდი რომ მინდა ჩემი მკლავის ძალა გატნობო, მოუხტა და ერთი ღახტი მოუქნივა, ყაჭარმა იფარი იფარა, ღახტი იფარს

მოსხვდა და ყაჭარს ასე ეგონა ეს მთები თავს დამეჭრა, ფარმა ვეღარ
 გაუძლო დასსლტა და სწილას მოხვდა და მიწასთან გაასწორა, სწილო
 და ყაჭარი ორნივე ძირს დაეცნენ. ყაჭარი ფრინველივით ზე ასლტა,
 ხოსროფშირს ქვეითად მოუხტა სლმით, ხოსროფშირიც გარდასტა და
 თვისი ხმალი მის ხმალს შეუფარა, რა ხმალი ხმალს მოხვდა ორივე შე-
 იმუსრა, მაშინ ყაჭარს სწილო მოჭკვარეს, შეჯდა და ხოსროფშირიც შე-
 ჯდა, განრისხებული, ყაჭარი ხმლით მოუხტა. ამან ფასტი ფიარა და
 ხმალი ჭასტს მოხვდა, მცირედ დასცდა და ხოსროფშირს შელავს მოხე-
 და და დაიჭრა, ხოსროფშირი განრისხდა, ცხენი გაიყენა და შესძახა: აწ
 ნახე ჩემი ხმლის მკვეთელობა! მოუხტა და შედგრათ ხმალი მოუქნივა,
 ყაჭარმა ხმალს ხმალი მოაგება, ხმალი რა ხმალს მოხვდა დასცდა და ყა-
 ჭარს თავს მოხვდა, და ოთხი თითის სიღრმეზედ თავში დასჭრა, ზირს
 სისხლი გადმოედინა, თავიღვან გონება დაჭკარვა, რა გონებას მოვიდა,
 გამწარებული მოუხტა და ხოსროფშირს სარტყელს ხელი წააგლო შედგ-
 რად აზიდა, მაგრამ ვერცა თუ შესძრა. მცირეს ხანს ერთმანეთს ერკინ-
 ნენ, მაგრამ ნახეს რომ ორისავეს მხრიდამ გასაყარს ნაღარას ჭკრეს. ამ
 ნაღარის დაკვრამ და ქვეუნიის სიბნელებს ეს ლომგული ფალეგანნი გაჭყა-
 რა და ორივე ლაშქარი თავ-თავის ბინაზედ ჩამოსდნენ. რაიმამ ომიდამ
 გაბრუნებული დაბძინდა: დიდი შეჯლისი გამართა, ყაჭარს მძიმე ხალათი
 უბოძა, ლხინსა და შექცევას იფუნენ, ხელმწიფემ ყაჭარს ქება შეასხა და
 გამარჯვება მიულოცა, ჭკითსა შენი და ხოსროფშირის ომი ვითარ გა-
 დაწყდა? ყაჭარმა მოახსენა: ხელმწიფეო, ხოსროფშირი რა არის და ან
 იმისი ომი რა უნდა იყოსო; ორ დღეს შევისვენეთ და შესამეს დღეს
 ვიდასაც ყარამანს ეძინან, ერთი ხლმის დაკვრით თავისის საჯდომით
 ოთხად უნდა გავევეთო. თუ ეს ასრე არა ვქმნა, მე ყაჭარს ნუღარ დამი-
 ძხებენო. როგორც ყაჭარმა სთხოვა, ორ დღეს ომი აღარ მოხდა.

აქეთ მხარეს ყარამანი მკვლისში იჯდა ხელმწიფესთან და ყარამანმა
 დაიძახა: სარდალნო და ფალეგანნო! როგორც ეტობა წყეული ყაჭარი
 ხოსროფშირს ძლიერ დაეჭრას და ამ ორ დღეს იმიტომ ომი აღარ ინე-
 ბესო. ესე წარმოსთქვა და საჭმანს, გარდანქეშანს და რადინარას უბოძა-
 ნა: მცირეს ხანს ს.ჩადირთა წავიდეთო, მაინც ჯერ-ხანთ ომი აღარ მო-
 ხდა. რა დილა გათენდა საჭმანი, რადინარა და გარდანქეშანი ყარამანს ია-
 ხლნენ, ყარამანი მაშინვე შეიკაზმა, შემოეაბარს ამხედრდა, ხელმწიფეს
 და სარვინურამანს გამოეთხოვა და სანადირთა წავიდა, გზაზე ერთი
 ქურციკი აღუჩნდა მას გამოუდგა და იმისმა გამოდგომამ მუნ მიიყვანა
 სცა შაჭვალი-ფეოთა ჩამომდარყო; ოღეს ყარამან დაეთხოვა და თავის

ქვეყანაში მივიდოდნენ. რა მას მიახლოვდა ქურციკის ისარი ჭკრა და შაჭკ-
ლა. როდესაც მათ ყარამანი იხილეს დიდ მსიარულებას მიეცნენ და რა-
დენსამე სახს ადარ გამოეძვეს ღზინსა და შექცევაში იმოთებოდნენ.

აწ უზანთ-ზაჰის ანბავი ფორსენით.

რა ორმა დღემ განგლო ყარამანი, ადარ გამოხდა, ხელმწიფე
ბრძანა: ფალეკანთ მოეშადენით ხვალ საომრათ, მაგრამ სააზვირანი სგე-
ლაც რომ არ მოვიდეს ყაჭარს ვინ უნდა ებრძოდოს? ამიტომ მწუხარე-
ობდა, მაშინ სარდალთა და ფალეკანთა მოასხენეს: თქვენ მაგასევე ნუ
მწუხარებთ, თუ სააზვირანი არ მოვიდეს, ჩვენ აქვენი მონანი, ყაჭარს
ან ჰასუსს მივცემთ და ან დავიხრცებით. რა ხელმწიფემ იმათი ესრეთის
გულფობის სიტყვა ისმინა, ძლიერ გამსიარულდა და თავ-თავის შესა-
ფერი ხალათები უბოძა, დალოცა და ესრედ უბრძანა: „ქვეყანასევე უწარ-
ხინებულესნო ფალეკანთ, ცხსთ თქვენს მტერზედ წარმატებული, ურა
ოდეს მტერმა თქვენზე დღევა ვერ მიღოს რომელიც ჩვენს ხელმწიფე-
ბას და ან თქვენს ფალეკანობას ჭმენის ხვალ თქვენი ჭაბუკობა უნდა გა-
მოცხადდეთ“. რა ესე ისმინეს საომრად მზადება იწყეს.

აქ სარვისურამანისა და ყაჭარის ომი ოდეს ყარამანი სა-
ნადიროთ იყო წასული.

რა ორმა დღემ განგლო და ომი ადარ მოხდა, მაშინ რაიზამის
ყაჭარს უბრძანა: ხვალის ომისას რას იტყვიან? მაშინ ყაჭარი ჰასუსა მო-
ასხენებდა რაიზამს, აიარნო შემოვიდნენ და ხელმწიფეს მდაბლათ თავი
დაუკრეს და მოასხენეს: „დიდებულა ხელმწიფე, ჩვენ უშანგის ურდოში
ვიყავით და ესე გვესმა, თურმე ყარამანი სანადიროთ წასულა და უწინო
შექმნიდა, ამის გამო უშანგი შეწუხებული ბრძანდება, ყარამანი რომ ხვა-
ლაც არ მოვიდეს, ყაჭარს ვინ უნდა ებრძოდოს? ამ მწუხარებაში ანის“.

როდესაც ყაჭარმა ესე გაიგონა, რაიზამს მოასხენა: ხელმწიფე,
ყარამანი სანადიროთ კი არ წასულა, ტყუიან; მე არ მოგასხენე, ერთის
ხელის დაკვრით ორად გაფსწევეტ მეთქი, მაშინ აქ იმისი აიარნო იქნებოდა,
ამბავს მიუტანდნენ და შიშით გაზარულა, მაშინ მე დიდათ დავაშავა რომ
ამჟამად ვსთქვი, უნდა გონებაში მქონდეს და იმის შემამდის არ ვამი-
მეტყულებინა რომ ეგები არ გაზარულიყო. რა ესე სთქვა, ხელნი შეიტ-
ყუზა და კასკასით გაიციხა და სთქვა: იცი ყარამანი როგორი ტანჯვი

უნდა მოგვლა, კვალად რაიზამს მოახსენა: ხელმწიფეო ნუ შესწუხდები, ყარამანს საცა არის დღეს თუ ხვალ ვიპოვი და მოვიუფანო. ყაჭარმა ამდენი იქადა რომ ხელმწიფე მეტის სიამოვნებით უტონო შეიქმნა. რა გონებას მოგეო, ხელმწიფემ შვიდი ხალათი ერთმანერთზე უბოძა და რამდენიმე ქისა ოქრო უბოძა, და სხვანიც სარდალნი და ფალეფანნი ყველა წყალობით აავსო და უბოძანა: მამაცად იყავია და საომრად მოემზადენით. რა დილა გათენდა, ორსავე მხრიდამ საომარს ნაღარს ჰქკრეს, ორივე მხრიდამ ლაშქარი ამხედრდა, დას ები დააწეეს და თავ-თავის ალაკას დადგნენ; ყაჭარი ადგა და ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოედან. ზე გამოვიდა რაც სინდელი ფალეფანნი იყვნენ ჰატვიი სტეს და მოედნის საშუალამდის მოჰყვნენ. მაშინ ყაჭარმა თავი დაუკრა და ესენი წამოვიდნენ და თავ-თავის ალაკას დადგნენ; ყაჭარმა დიდის ხმით შესძახა უშანგ-შაჰას: „შენ რომელსაც ქვეყანაზედ არავის უდრიდი ფალეფანთა ყარამანს, ახლა არ შეგრცხვას რომ ჩემის შიშით ნადირობა მოიგონა და გარდაიხვეწა! ახლა ის რომ გაზარულა შენ ვიდის იმედით იბრძვი და ან ვისით იმედიანობი? დღეს ის დღეა რომ შენ ტახტიდამ უნდა ჩამოგადო და შენი ჯარი სრულიად სპილთსა და მარტო-რქის ფეს ქვეშ უნდა ვასრესინო. და თუ ახლა შენ ჰკუა გაქვს. ტახტიდამ ჩამოდი და დიდებულნი აქ მოახსი, რაიზამს თავიანი ეცით და დაემონეთ, შენ შეცდებას მე ვაზატებ. შუამავლად მე შემოვალ, ერთ მცირე ქვეყანას მოვატეპინებ რომ სარჩოდ გვეოს, და თუ ამ ჩემს სიტყვას არ ისმენ მაშინ ჩემს საომრად ფალეფანი გამოგზავნე მოედანზედ და შენ მანდელამ თამაშა მიეურე რა დავმართო. რა უშანგ ხელმწიფემ იმისგან ესე მოისმინა შეწუხდა და თვალები ცრემლით ავესო. რა ბარამჯიბილმა ხელმწიფე შეწუხებულნი იხილა თავი დაუკრა და ყაჭარს საომრად მიმბრთა, სარვიხურამანს იმ სიტყვების გამგონს გულმა ვედარ მოუთმინა და ერთი დიდად შესძახა, დმერთი ახსენა და მარტო-რქას ქუსლი ჰქკრა და მოედანს გავიდა, განრისხებულმა შესძახა: „ჰქვი შენ ბილწო ძაღლო, შენ ვისი ძაღლი ხარ, რომ ყარამანი მაგისთანა სიტყვებით მოიხსენიო და ან რა სახელთობა გიქმნია რომ ყარამანი შენგან შეშინდეს და გაიზაროს?! ყარამანი ასეთებისთვის მორვევა რომ მოსამსახურეთაც არ გიკადრებენ შენ. ესე სთქვა და ლახტი შეუმაღლა, ყაჭარმა გურსი იფარა და მით გადურჩა, მაგრამ ასეთი ძალა დაადგა რომ დედის ხსენი პირიდამ ამოანთხია, გონება დაეკირგა და წელში მშვილდით მოიკაკვა და მის საჯდომ სპილთსაც რუსაებრ პირით სისხლი წასქდა და ფურცელივით თრთლდა დაიწყო, მეორეც დასცა და მასაც გადაურჩა, მესამეც სცა და

აიხდინა რაღა გაგაგრძელოთ, იმ დღეს იმ: ორთა საღამომდის იბრძო-
ლეს, ხან შუბით, ხან ხლმით, ხან ლახტით, ერთმანერთზედ მრავალი
იარაღი იხმარეს, მაგრამ ერთმანერთს ვერა ავნესრა, რა დადამდა გასა-
ყარსა ნადარას შეჭებრეს. როდესაც უმანგ-მანამ სარგისურამანისა ესეთი
ომი იხილა, დიდის მხიარულებით დაღრცა და ქება შეასხა; ვინც სარ-
დალნი და ფაღვეანნი იუფენ მადლობა და ქება მოახსენეს; ვეველამ საო-
მარი აბჟარი გაიხადეს და საღვინო შეიმოსეს, მეჯლისი გაიმართა და
ყოველნი თავ-თავის ალაგას დასხდნენ, ხელმწიფემ სარგისურამანს უბრძა
ნა: „ჩემო გულის სიხარულო, დღეს შენ ასეთი საქმე ჭქმენ რომ ქვე-
ყანაზედ არავის უქმნია, ესე სიტუვა უთხრა და მძიმე ხალათი უბრძა.
სარგისურამანმა ხელმწიფეს მუხლთა აკოცა, რაინდს და სარჯანს ხელს
აკოცა და ნადიმს შეექცნენ. როდესაც ფაღვეანნი დვინისაკან ზარხოში
შეიქმნენ, იმ უამად ბარამჯიბილმა, ზოაქ-ნოგვეანმა, ბაჰმან-ასოარელმა,
ყახამთარ-ხათმა, სარჯანმა, გურგანმა, რომც და ხუა ფაღვეანთა, ხვა-
ლისთვის უაჭარის ომი გამოითხოვეს, უმანგ ხელმწიფემ ხალათები უბო-
და და დასტური მისცა, ხვალის ომისა, და სამკრად მზადება იწუეს,
იქით მხარეს რაიაზიმი და უაჭარი ომიდამ გაბრუნებული ტახტს დაბრ-
ძანდნენ და ყოველივე თავ-თავის ალაგას დასხდნენ, უაჭარი დაღონებული
და მწუხარე, გუშინდელი გადარეულის და მეტი ლაზარაკისთვის და სარ-
გისურამანის ომის გაუსწორებლობისათვის სირცხვილუული თავ-ჩამოკდე-
ბით იჯდა; რაიაზიმმა უბრძანა: შენ ყოვლის ფაღვეანების ურჩეულისო,
დღეს შენ და სარგისურამანის ომი როგორ გადაწყდა? ან იმის ომი ვი-
თარ მოგეწონა? უაჭარმა მოახსენა: „ხელმწიფე, სარგისურამანი რა არის
რომ იმის ომი რა უნდა იყოს? დღეს თქვენი დამეხათრა თვარა სარგის-
ურამანს მოგველაგდი, ამისთვის, რომ თუ იმისთვის ამეტყხა რამე, ხვალ,
ზეგ, თქვენ საყვედურს ვედარ მოფრჩებოდი, ასე მიბრძანებდით, შენ ჩე-
მი ძმისწული რომ არ მოგეკლა, ისევე ჩემ კერძო შეიქმნებოდა. თუ
ამისთანა თქირებით არ დაგრიდებოდი, დღეს სარგისურამანს ერთის ია-
რადის ხმარებით მოგველაგდიო“. რაიაზიმს ესე მოახსენება სულ მართალი
ეგონა, შემდეგ უბრძანა: „ნება მომიცია შენთვის, რომ არამც თუ სარ-
გისურამანს, ჩემს ძმებსაც ნუ დაინდობო, სარგისურამანი რასა ჭქვანო.
უაჭარმა მოახსენა: „ხელმწიფე, რადგან თქვენგან ეგ დასტური შებოდა,
ხვალ ჩემი ჭბოუკობა გაშინჯეთ, რომელიც ჩემი მეომარი მოედანზედ გა-
მოხნდება, ნახეთ ვითარი სატანჯველით მოგედეს ჩემის ხელით. უაჭარმა
ძლიერ ბეგრი იქადა და სამკრად მზადება იწუო.

აქ ყაჭარისა და უშანგის ჯარის ომი და ყაჭარისაგან მრავალთა ფაღვეანთა შეპყრობა და ბარამჯიბლისაც.

რა დილა გათენდა, ორსავე მხარეს საომარს ნაღრას შეჭბერეს, ორივე ლაშქარი ამხედრდა. იმ ჟამად ყაჭარი თვისის რაშით მოედანს გამოვიდა, ჩაფარდი შექმნა და ფაღვეანი გამოიასოვა, მაშინ ბარამჯიბილმა ხელმწიფეს თავი დაუკრა და თავის მწვანე მარცხ-რქა მოედანს გამოაგდო და ყაჭარს დაუსისწორდა და ხელით სადაც მისცა, იმასაც ბარამი მოეწონა და საღამო ჩამოართვა, ყაჭარმა დაუძახა, უშანგ-შაჭის ჯარში შენ რა გეწოდებაო? ბარამმა უძახუნა: ფაღვეანო! ბარამჯიბილს შეძახიანო. ყაჭარმა დაუძახა: ჩინეთის ქვეყანას რომ ქვად-ქვნილად იტყვიან, შენ იგი ხარო? მან მიუგო: მართალს იტყვიო! ყაჭარმა უთხრა: ჭეი, ფაღვეანო! მოდი დამიჯერე და არ მოგკვალ თუ ჩემ კერძო შეიქმნები და უშანგისაგან და ყარამანისაგან ხელს აიღებო და რაიასამს დაემორჩილებიო, დიდს პატივს მოვაცემინებო. ბარამ-ჯიბილმა მიუგო: „ჭეი, ფაღვეანო! ჩემი ათას ჩაჭრად ქცევა რომ შეგეძლოს, ვკონებ რომ უშანგისა და ყარამანის ხელის აღება არც ერთმა ნაჭერმაც არ ინებოს“. მართლა თუ შენ თავში მტირედი ტვინი იღვას, მოხვიდოდი და ყარამანის მონა შეიქმნებოდი, თუ არა რაიასამა ვინ არის რომ შენისთანა გამოჩენილი ფაღვეანი ემისახურებაო. მოდი უშანგ-შაჭასთან რომ შენი პატივი იმან იცისო, ამისთვის რომ უშანგ-შაჭას, ისეთი ხელმწიფენი ახლავან, რომელსაც რაიასამს მისამსახურეთაც არ იკადრებენ.

რა ყაჭარმა ჯიბილისაგან ესე მოისმინა დიდათ განრისხდა; შემოუტია და თვისი მძიმე ლახტი შეუმადლა, შე უმგზავსო, ვინა ხარ რომ რაიასამისთანა ხელმწიფე არ მოიწონე და მაგისთანა უმგზავსო სიტყვა სთქვიო? აფხანდასე შედგა და ლახტი ძლიერად დასცა და ბარამი შეიღდივით მოხარა, მარტო-რქაც წელში ჩაიზნო და წელის მოწყვეტას მტირედა უკლდა, ბარამმა სიმხნეს ძალა მისცა, უშანგო ჭკრა და მარტო-რქა შორს გარდინებტუნა და ყაჭარს მოუხლტა. ყაჭარმა კვლად სცა, ბარამი სიმხნით გადურჩა, მესამეცა სცა და სიფთხილით აივდინა და უგნებლად გადურჩა. ერთიანეთსე თორმეტი რიგი იარაღი იხმარეს, ამ ჟამად ყაჭარი განრისხდა აფხანდასე შედგა და ერთი ლახტი ძლიერად მოუქნია, ბარამმა ლახტი იფურცა და ძლიერად მოხვდა, ლახტმა რომ ვეღარ გაუძლო, ბარამს თავი ოთხი თითის ოდნათ გაუხეთქა და ჯიბილი უცნობო შეიქმნა, თავის მარტო რქის კისერს მოეხვია, მარტო-რქა გატრიალდა და თავის ლაშქრისაგან წარიტაცა. რა ხელმწიფემ ბარამი იმ ყოფით

იხილავ: დიდათ შესწუხდა ბარამისათვის; აიარებს უბრძანეს და ხელმწიფისთან მიიყვანეს დაჭრილი, შეუხვიეს და დროშის ქვეშ დააყენეს, ამ უმად ზოაკ-ნოფუყანმა ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოედანსზედ გამოვიდა, ყაჭარს დაუსისწორდა და ძლიერი ჯახტი დაჭკრა, ყაჭარს არა ევნოდა და მისი ძლიერება მოიწონა, აგრეთვე სამი ძლიერი იმანაც დაჭკრა და ზოაკი მრავლის ცდით გადურხა, ერთმანერთზე შეიდა საომარი იარაღი მხარეს და ვერაფერ ვერა აწებეს. ყაჭარი მაშინ განრისხდა და დაუძახა, თალეყანო გამოფრთხილდი და ერთი მძიმე ჯახტი შეუშალდა; თავისი ჯახტო იფარა და ჯახტი ჯახტს მოხვდა, ზოაკს მელაგებმა ვეღარ გაუძლო სზილთს მოხვდა და ორნივე პირქვე დაეცნენ, ზოაკი მსწრაფლად წამოხტა ხმაღს ხელი მოიფლო და ყაჭარის სზილთს თესები დააყრეფინა, ყაჭარი და სზილთ ორნივე დაეცნენ, ვიდრე ყაჭარი წამოდგებოდა, ზოაკმა მსწრაფლად ერთი ხმალი ჭკრა და თეძოში დასჭრა; განრისხებული ყაჭარი წამოხტა ზეზე, მაშინ ზოაკმა შესამე ხმალი მოუქნივა, ყაჭარმა თავისი ხმალი იფარა, ზოაკმა ისე ძლიერად დაჭკრა რომ ორივე ხმალი დაიმსხვრა ზოაკმა ნატყხი ხმალი შორს გასტყორცნა და ყაჭარს სარტყელს ხელი ჩავლო და ადებს ჯამობდა, მაგრამ ვერცა თუ ადგილიდამ შესძრა. ყაჭარმა ხელი შეახო სარტყელს, აზიდა და ქვეყანას დასცა, ორივე ხელეობ მაგრად შეუკრა და აიარებმა წაიყვანეს.

ყაჭარს სზილთ მოჭკვარეს და შესვეს, მაშინვე ორმოცდა რვის მწერთის მქონებელი, გულფანის თალეყანის ბაჭმან-სათარელი ფოლადის ჯახტით შეიჭურვა, შუბი იღლის მიიცა და ყაჭარს მედგრათ მიუხტა, ყაჭარმა რა მისი ესეთი სიფიცხე იხილა, შეიდგეტი ფოლადის ფარი გვერდსა იფარა და მამაცად დასდგა, ბაჭმანმა შუბი ისე სცა, რომ როგორც ნემსმა ატლასი დახიოს მის ფარში ესრედ გაატარა, მაშინვე ყაჭარმა ფარი ხელიდამ გააკლო, თვით ცხენის მუცელს მოეხვია და თავი გადაინარჩუნა, მაშინვე ყაჭარს აიარებმა მაგარი ფარი მოუტანეს. რა ყაჭარმა ბაჭმანისაგან ესე ძლიერება და თვისი ფარის დამტყვრევა იხილა, ისე განრისხდა რომ თვალეობი სისხლით ავესო. კვალად ბაჭმანი მოუხტა და ერთი მძიმე ჯახტო სცა, მაგრამ ყაჭარმა ესეც აიცდინა, რა რიგო ყაჭარს ერგო იარაღი აღარ იხმარა, მისწვდა, სარტყელში ხელი ჩავლო აწვივა და ცხენიდამ ავლიჯა; მაგრამ ვეღარ შეიმავრა, ძირს ჩამოხტა და ბაჭმანიც ჩამოიღო. ეს ორი ვეშაპის მგზავსი თალეყანის ირკინებოდნენ, მანამ დაილალებოდნენ და ორნივე ისე მოუძღურდნენ რომ ღონე აღარ შერხათ, მაგრამ ყაჭარმა სიმხნეს ძალა მისცა, აიყვანა და მიწას დასცა; აიარებო მისცვიოდნენ ხელეობი შეუკრეს და წაიყვანეს.

ამ უამად უაზამთარ-ხათიმ, ხელმწიფეს თავი დაუკრა და თავისი რა-
ში მოედანს გამოიგდო და მსწრაფელ მრისხანედ მოუხტა, და სამი ლახ-
ტი ზედი-ზედ ისე ძლიერად დაჭკრა, რომ უაჭარმა იარადი ვეღარ მოიხ-
მარა და შეაშალა, რა ცნობას მოვიდა სოქვა: უშანგს ესეთი ძლიერი თა-
ლუგანნი სად უშოფნიან? უაჭარმაც სცა სამი ძლიერი ლახტი, ვერცარა
მან ავნო, ერთმანეთზედ ოცდა ათი იარადი იხმარეს და ერთმანეთს ვე-
რა ავნესრა, უაჭარი განრისხდა და ლახტი შეუმადლა, უაზამთარმა ლახ-
ტი იფარა მაგრამ ლახტი ისე მოხვდა რომ უაზამთარის მკლავებმა ვე-
ღარ გაუძლეს, მკერდს მოხვდა და პირიდან სისხლი წასქდა, ძირს დაე-
ცა, აიარებნი მოსცვივდნენ შეკრეს და წაიფუანეს.

რა ქეიფან-შაჭას შვილმა დაუთ-შაჭამ ესე იხილა, ხელმწიფეს თავი
დაუკრა და მრისხანედ შემოუტია, ჯერ შუბი სცა, მერე ხელით, მერე
ლახტით და ვერც ერთმა ვერა ავნორა, მერე უაჭარმა ერთი მძიმე ლახ-
ტი დაჭკრა და საჯდომმა სპილთმ ვეღარ გაუძლო, წელი მოსწვდა და
ორნივე ძირს დაეცნენ, დაუთ შაჭას ცალი ფეხი სპილთს ქვეშ მოჭყვია,
ვიდრე ფეხს ამოაძრობდა, აიარებმა შეჭკრეს და წაიფუანეს. რა სერაბ-
დარ-ზოვარმა ესე დაინახა, თავისი მხეტი მოედანს გაიგდო და უაჭარს მი-
უხტა, სამი მძიმე ლახტი დაჭკრა, მაგრამ ვერა ავნორა, მაშინ უაჭარმა
სერაბს სარტუელს ხელი მიჭყო, მხეტიდან აზიდა და მედგრად დასცა.
აიარებმა შეკრეს და წაიფუანეს. რა სარჯანმა ესე დაინახა, ხელმწიფეს
თავი დაუკრა და სპილთ მოედანზედ გააგდო და უაჭარს მძიმე ლახტი
დაჭკრა, განრისხებულმა სარჯანმა მორე ლახტი დაჭკრა, უაჭარმა ლახტი
იფარა, ლახტმა ვეღარ გაუძლო სპილთს თავს მოხვთა და მიწასთან გა-
სწორა, ვიდრე სპილთ დაეცემოდა უაჭარი უწინ კარდახტა და სხვა სპი-
ლთ მოჭკვარეს, შეჯდა, უაჭარმა სამი ძლიერი ლახტი სცა და ვერცარა
მან ავნო, ერთმანეთზედ სამოცდა შვიდი იარადი იხმარეს და ვერცა
რომელმა ავნო, მაშინ განრისხებულმა უაჭარმა ერთი მძიმე ლახტი სცა,
სარჯანმა ფარი იფარა ფარს დასცდა და სარჯანს მკერდს მოხვდა, მაშინ-
ვე უცნობო შეიქმნა და გადმოვარდა, ესეც შეჭკრეს და წაიფუანეს, რაი-
ს მამა სიხარულის ხადრას კერა დაწყებინა.

იმ უამად გურგან-ბეჯად-ქამანი მოედანზედ გამოვიდა თავისი მშვილ-
დი მოზიდა და უაჭარს შესტუორცა, უაჭარმა ფარი იფარა, ისარმა ფარი
გახეთქა და თედოს დაეჭრო, მაგრამ უაჭარმა არად მიიხინია. მორედ შე-
სტუორცა, სპილთს თავს მოხვდა და მოკლა. უაჭარი ძირს გადმოვარდა,
მესამედ ძლიან ჭკრა, მარჯვენა მკლავს მოხვდა და იქით გავარდა, უაჭარ-
ი ისე გაშწარდა რომ ცუცხლის ფერად შეიცვალა და გაჯაფრებულმა გურ-

განს შეუტოვა, რა გურგანმა ეაჭარი ქვეითად იხილა, ისიც სპილოდამ
გადახტა და ქვეითად შეუტია, რა ახლოს მივიდა, ეაჭარმა ერთი სპი-
ნელი მუშტი დაჭკრა გურგანმა ხელი იფარა, მაგრამ ვერ შეიმავრა, მუშ-
ტი წარბს მოსვდა და წარბი გახეთქა, გურგანმა მამაცურის ხმით შეს-
ძახა და ხანჯალს ხელი მოიკრა და შეუტია, ეაჭარმა მაჯას ხელი სტაცა
და ცაღის ხელით სარტყელში ჩააგლო ასწია და მიწას დასცა, ხელები
შეუკრა და აიარებს მისცა, რაღა გავაგრძელოთ იმ დღეს უშანგის ფაღე-
ვნებიდამ, ორმოცდა ოთხი დაატუსადა, როდესაც დაღამდა ორსავე მსა-
რეს ნაღარას ჭკრეს და ორსავე მხრის ხელმწიფენი დაბრუნდნენ, და თავ-
თავის ლაშქარს ჩამოხდნენ. უშანგ-ხელმწიფე დიდათ შეწუხებული ტახტს
დაბძინდა, შემდეგ მეჯლისი გაიმართა და შეექცეოდნენ. იქით მსარეს
რაიაზამი დიდათ გაამაყუაული, მისარულად ტახტს დაბძინდა. რა ეაჭარი
შემოვიდა სეფმეფიემ სამი ხალათი უბოძა და ძვირფასი თაჯი და ქამარი
მიართვა და უბოძანა: ჭეი, ფაღეფანი! შენი ბირი ნათელი იქმნეს, რე-
კორც დღეს შე ერანელთა თანა სახელოვნად გამომაჩინეო, ეაჭარმაც ხელ-
მწიფეს მიძიედ თავი დაუკრა და თავის ალაგას დაჯდა, მერე რაიაზამმა
ეაჭარს უთხრა: დღევანდელი დაჭერილნი ფაღეფანნი უნდა დაგხრცოთ
თუ რას იტყვიო? ეაჭარმა გაიციხა და მოახსენა: „ხელმწიფეო თუ მაგათი
დასოცა მდომოდა მუნვე დაგხრცდი, ჯერ უშანგ-შაჭა, ერანმანი, სარვი-
სურამანი, გულჩინი, ხოსროფიერი და თქვენი ძმანიც დაფატუსადო და
მერე თუ იმათ ხვენ დმურთებს და ცეცხლს თავიანი სტეს, სომ არ დაგ-
ხოცოთ, თუ არა და უოველნი დაგხრცოთ და მაგათი კალო ვლექოთ.
ამ ყამად ის დაჭერილნი ფაღეფანნი, იმლაშას ჩავაბაროთ რომ იმან კარ-
გა შეინახოს. მაშინ რაიაზამმა ის პერობილნი იმლაშას ჩაბარა და თვის-
სა კარავს წასხა. შემდეგ მეჯლისი მოიშალა და მოსვენებას მიუტნენ.
რა დილა გათენდა ორსავე მხრიდამ საომარს ნაღარას შეჭბურეს და ორ-
სავე მხრის ლაშქარი გამოვიდა და მოედანზედ დასტები დააწესეს, ეაჭარი
გამოვიდა და ერთი ძაღიანი შესძახა: უშანგ-შაჭა! შენ სომ ჩემი ღირე-
ვა არ დაიჯერე და რაიაზამს არ დაემოხე, ნახე ახლა შენ თავს რა მო-
ვალწიოოო, აბა ახლა ჩემი მეზობელი ფაღეფანი გამოგზავნე მოედანზე,
თვარა, შენ აღმებს თავზე დაგამსხერეო. და მოედანზედ ცხენს თამა-
შობა დააწყებინა.

ამ ყამად ჭეითად ჯანგმა ხელმწიფეს თავი დაუკრა, სმადს ხელი
მოიფლო და მრისხანეთ შემოუტია, ეაჭარმა ფარი ადარ იფარა, მიშინვე
შესწუდა და ხლმიანი მაჯა დაუჭირა, მაგრამ ვეღარ შეიმავრა, ჭეითადი აფ-
ყანდაზე შეიდგარმა ისე სტა ხმადი, რომ სპილო მკერდამდის გააბო,

ეჭვარი მთასავით ძირს გადმოვარდა, ვიდრე ეჭვარი წარმოდგებოდა, ჭეი-
 თაღმა მსწრაფელ ხმალი მელავს აძვერა და წვერი იქით გააყოფინა, ე-
 არი გაანხლდა სატყეულს ხელი მიჭეო და ასწია, ასეთი დასტა რომ
 მისი სახე მიწას გამოეისხა აიარებმა შეკრეს და წაიფანეს, ეჭვარს მა-
 შანვე სწილთ მოართვეს და შესვეს, მაშინ მახლავლმა ხელმწიფეს თავი
 დაუკრა, ცხენს დეზი ჭკრა და ეჭვარს მოუხტა, საში მიძიე ლახტი და-
 ჭკრა, მაგრამ სამჯერვე აიცილნა, რა ეჭვარს რიგი ერგო მიძიე გურზი
 მოუქნია, მახლავლმა ლახტი იფარა, მაგრამ მელავებმა ველარ გაუძლო,
 ლახტი ძლიერ მოხვდა და ცნობა დაფანტა, მას და მისს საჯდომს ცხვირ-
 ზირიდან სისხლი წასქდათ, ძირს დაეცნენ და აიარებმა შეკრეს და წაი-
 ყვანეს, ეჭვარმა ამ უოფით სამოცდა საში ფალეგანი დაიჭირა, ამასობაში
 კიდევ დადამდა და გასაყარს ნაღარას ჭკრეს, რა დილა კათენდა, ეჭვარი
 მოედანზედ გამოვიდა. მოკლედ მოკახსენოთ, სადამომდინ ოცდა შვიდი
 ფალეგანი კიდევ შეიბურა.

უმანგ-შაჭამ ხანა რომ იმის ფალეგნებიდამ ას ოც და ათი ფალეგანი
 შეიბურა, უმანგი ჯაფრისაგან ცნობა მიხდალს დაემგზავს, მაშინ ბრძა-
 სა: ჯარის ერთად შეტევა, ორ მხრიდანვე ლაშქარი ერთი მეორეში დაე-
 რიანენ, ასეთი ხოცვა შეიქმნა რომ თვალთ არ ნახულიყო, ცხენოსანნი
 სისხლის ზღვაში მდგომარეს გვანდნენ. ის დღე მეორედ მოხვლას ემს-
 კავსებოდა. ეჭვარის შეწეობიზ ინდთა და სინდთა, უმანგის ლაშქარნი
 უვეე მიქციეს.

რა უმანგ ხელმწიფემ ესე იხილა, ტახტიდამ ჩამოვიდა ფოლადით
 შეიჭურვა და მოედანს გავიდა, რა სარვიხურამანმა, ხოსროგშირმა და გულ-
 ხინმა, ხელმწიფე მოედანზედ გამოსუდი იხილეს. მსწრაფელ მარტორქე-
 ბი მოქუსლეს და ხელმწიფე არ გაუშვეს, შეუტყეს ამ სამთა ძლიერთა
 ვეშაპთა და დასტეს მათ ზედ რისხვა დვთისა და უკან დაბრუნეს მათი
 ლაშქარი, მრავალი ამოწევიტეს რაიაზმის ფალეგანნი ხოსროგშირი და
 სარვიხურამანი რომელსაც ხმალსა სტემდნენ, ცხენითურთ შუა გასწევიტ-
 დენ ერთს აიფანდნენ და მეორეს შემოსტეორცნიდენ და ორთავეს უსუ-
 ლოს ჭეოფდნენ, სძლიეს და დასტა და დასტა გაიქციენ. ამ უამად გულ-
 ხინი ეჭვარს შემოხვდა, მამისათვის გულ-დამწვარმა, ესე შესძახა: ჭეი-
 შე ბილწო ძაღლო! ვის ეკადრება ეგ შენი ძაღლური მოქმედება, ერთი
 ვეშაპის სახე ლახტი ებურა, ისე სტა რომ ველარც ფარმა გაუძლო და თავს
 ოკტი დახვია და მთასავით ძირს დაეცა, მსწრაფელ სხვა სწილთ მოჭკვა-
 რეს, ვალად გულხინმა მკვეთელი ხმალი ამოიღო, აფანდაზედ შედგა და
 სძალი სტა, ეჭვარმა მაშინვე სწილთს სადავეს აუწივა, მას მოხვდა და

შუა გაპო, მსწრაფლ სსფა სპილო მოჭკვარეს და შეჰდა, გიღრე მესამედ მოუქნედა, საწვიხურამანი და ხორცოშირი გულმესისსლედ მოუხტენ, რა ყაჭარმა ესე იხილა გულმესისსლედ მოხტომა, დიდს მწუხარებას მიეცა, იტოდა რომ იმ სამის ბრძოლას ვერ გაუძლებდა, რა რაიასმმა ესე იხილა მაშინვე გასაყარს ნაღარას აგვრევიან და გაიყარენ. ყაჭარი იქით წავიდა და ესენი აქეთ, უშანგ-შაჭა მობრძანდა და მეჯლისი გამართა, შემაღებ შარობ-შაჭას უბრძანა, სტროლაბში ჩახედე ნახე, რაგორ უნდა იუოს ჩვენი საქმე, რა დროს მოვა ყარამანი? შარობ-შაჭამ სტროლაბი აიღო და ჩასუდა, მტირე ხანს დაფიქრდა და მოახსენა: ხელმწიფევე, მისარებია რომ სააბურიანი ამაღამ მოვაო და ჰერობელნიც ამაღამ განთავისუფლებიანო, დვთის მოწყალებით ახლა ძლივს ვარსკვლავი იმათევენ დაბრუნდა და ნუღარ შეიჭირვებთ, ხელმწიფევე ბრძანა: ნეტარ იმ დღეს მოვესწრობი რომ სააბურიანის უძლეველი თავი ჩემ თვალებმა იხილოს!?

იქით მხარეს ყაჭარმა ხელმწიფეს მოახსენა: „ხვალ ლაშქარმა შეისვენოს და ზეგ თუ უშანგს ბოლო არ მოუღო, მე ყაჭარი აღარ მერქმისო, იმ ყამად უშანგის აიარები იქ იყვენ და ხელმწიფეს მოახსენეს ყაჭარის ნაღარაკევი. ხელმწიფევე ბრძანა: ჩვენ რომელი დმერთიც გკუარავს, ისევე ის დმერთი დაგვუარავსო, მეჯლისი აღარ მოშაჯეს, სმასა და ლხინს შეექტენ.

აქ ყარამანის მოსვლა ხელმწიფე უშანგთან, გარდანქეშანისაგან ერნაელთ ჰერობილთ განთავისუფლება და იმლაშას სიკვდილი და მაცდურობით გარდანქეშანისაგან იმლაშას საღაროს (ხაზინის) აკლება.

მდეს ყარამანი სანადროთ წავიდა და შაჭვალი-ფერიასთან შეექტოდა, შაჭვალის მოახსენა, ახლა კი უნდა წავიდე, უმეტესად იმისთვის რომ ყაჭარისთანა თაღუვანს გადავუკიდენით და მეშინიან ჩვენს ჯარს არა ავნოსრა. ჩვენნი ძმად ნათყინი თაღუვანნი არავენ დახოცოს და საუკუნოთ იმათი მოვალე არ დავრჩე. მათ მოახსენეს: ნება თქვენიაო, მაგრამ, თუ გნებავთ ჯარს გახსლებთ ლაშქრიდგან. ყარამანმა მოახსენა: მე ლაშქარი არ მინდა, ეს ოთხნი ვითა მოვსულვართ ეკრეთვე წავალთო და თუ ლაშქარი წავიყვანეთ, ჩვენნი მეზობელნი ამას იტყვიან, ყარამანი შეშინდაო, წავიდა და ჯარი მოიყვანა თავის შემწეთა და მით გვძლიაო. ამისთანა ლაშარაკს ჩემზე დიდათ ვითაკილებ. როცა ყარამანმა არ იხება

თავისთან დაშქრის ხლებს. მათაც ნება დართვეს. მაშინ გამოქსლმუნენ და წამოვიდნენ. იმ დამესვე უშანგთან მივიდნენ. რა სარდალოა და ჯართა ესენი იხილეს დიდს მხიარულებას მიეცნენ, სარვიხურამანს აცნობეს, მაშინვე გამოვარდა და სიუვარულით ერთმანეთს მიქსლმუნენ, ხელმწიფესაც აცნობეს, ხელმწიფემ დიდებულთ წინ მიგებება უბრძანა: და ყარამანი მიუვანეს წინაშე ხელმწიფისა. რა ხელმწიფემ ყარამანი იხილა, მოეხვია და შუბლს აკოცა, იმის ნახვისთვის ღმერთს მადლობა შესწირა და უთხრა: ვმადლობ ღმერთს რომ შენი თავი მომივლინა და რომლისაც სიმშნით ჩვეულ-ვართ ახლაც ღვთით, ჩვენს შტერზედ ვიღიდებთო, ფალევანი დამხო და მიწას აკოცა, ხელმწიფე დაბრძანდა და ყარამანიც თვისსა უბირველესს სკამს დაბრძანდა, ფალევანიც თავთავის განწესებულს ალაკას დასხდნენ, შემდეგ ხელმწიფემ ყაჭარის ომი თავიდან ბოლომდის ყოველივე უამხო და ფალევენების შეზერობაც უთხრა და ტირილი იწყო. მაშინ ყარამანმა მოახსენა: ხელმწიფეო, ნუ სწყუხხართ, იმითი ღმერთი და თქვენი ბედნიერება გამოიხსნის. რა კარდანიქქმანმა ხელმწიფე მწუხარეთ იხილა, მსწრაფად კაბრუნდა სადამური ტანისამოსით მოირობო, ბასრი ხანჯლები წელთ კაიჩო, შირფანჯა აიარი თან წაიყვანა, და იმ ფალევენებისათვის წავიდა, რაიანამის ურდოს მიატანა, ის ჰერობილნი ფალევანნი იმლაშას ებარა, კარდანიქქმანი და შირფანჯა იმლაშას კარავთან მოვიდნენ, შემოუარეს კარავს, რომელნიც ქეშიკათ იყვნენ ძილი მორეოდათ და სთვლემდათ, მათს ახლოს მივიდნენ და ბუეშტარი ასუნებინეს და უცნობო იქმნენ, კარდანიქქმანი და შირფანჯა შევიდნენ კარავს თავისუფლად და ფალევანნი ყველა განთავისუფლეს, ქეშიკათა ფალეები ამოსთხარეს, იმლაშა მოკლეს და ჰერობილნი ას-ოც-და-ათნი ფალეევანნი უშანგთან მოახსენს. ხელმწიფე უშანგს მოხსენდა და ყარამანი დასხვანი წინ მოეკებნენ, დიდათ მოხარულნი კარდანიქქმანს ქება შესხეს, ხელმწიფემ კარდანიქქმანს ურიცხვი საბოძვარი მისცა.

ამ ყამად რაიანამს მოხსენდა, ჰერობილთ განთავისუფლება და იმლაშას სიკვდილი. მაშინ ესენი დიდს მწუხარებას მიეცნენ, აგრეთვე საბუირანის მოსვლაც მოხსენდა რაიანამს და კარდანიქქმანს მოუკლავსო იმლაშა და ტვენიც იმასვე განთავისუფლებიაო. რა ყარამანის მოსვლა ესმა უმეტესად მწუხარებას მიეცა და სთქვა: ყარამანიც რომ მოსულა ახლა ჩვენი საქმე ცუდათ წავა ამიტომ რომ იმის მოპირდაპირე არავინა მყავსო, ფალევანთა მოახსენეს: ხელმწიფეო, მგაცხედ ნუ შეიქირავებთ, თქვენს საბრძინებელში ორნი არიან ფალეევანნი, ერთსა არყას-ხუნზარი გწოდები და მეორეს სალსალ-საზდავარ. რა ისინი დაბადებულან, იმათ

თვის რმი ვერავის გაუსწორებია. იმათ შიშივე ფეშქაშები გაუგზავნოთ და ყარამანისაგან შევიწვილოთ, მოვიყვანოთ და ყარამანი მათით ვძლიოთ და თუ ორნივე არ მოვლენ, ერთი მაინც მოვა; იმათ ერთი აიარი ჭყავოთ სახელად ფარან დეი ქანსუზ უწოდებენ, თუ ისინი მოვიდნენ და ის აიარიც თან მოიყვანეს, მთელი ქვეყანა რომ გარდანქეშნად იქნენ, იმას მაინც ვერას ავნიებენ და იმას აიარი უსიკვდილოთ ვერ მოუჩვენებო. ფალეჯანთა იმდენი ქება უთხრეს, რომ იმლაშას სიკვდილი დაავიწვეს.

ხელმწიფემ იმ წამსვე ბრძანა და იმ ორს ფალეჯანს წიგნი მისწერას და თავიანთ თავის გარდასავალი უფელივე ანობეს, ესეც ჩასწერეს თუ ვინცობა მალე ვერ მოვლენ ივინი ფალეჯანნი, გვაცნობონ რომ ჩვენც ერთი თვის ჰემანი ვთხოვოთ უშანგ-შაჰას, ვიდრე მოვიდოდნენ. ესე წიგნი დასწერეს, ერთს ვეზირს მისცეს და ოცი კაცი თან გაატანეს და არყას-სალსალთან გაგზავნეს და ხელმწიფემ ესრედ უბრძანა: ვიდრე იმ ფალეჯანთან მიხვიდოდეთ, ნურც დაისვენებთ და ნურც დაიძინებთ დღე და ღამე იარეთ. ამ უმად ყაჭარმა ზე აიხედა და ხელმწიფეს მოახსენა: „ხელმწიფეო, ყარამანისას თქვენ ნუ შეიჭირვებთ, ვიდაც უმგზავსო ყარამანი გდია, ხვალ უნდა ერთის ხმლის დაკვრით, ოთხად გაგვეუთო“. რა რაიაზამმა ესე მოისმინა, მართალი ეგონა და დიდს მხიარულებას მიეცა და ამ ბაქიაობაზედ ასიმ აიარიც იქ დაესწრო. მაშინ უშანგ-ხელმწიფის წინაშე მოვიდა და იმ ღამის იმათი აშბავი ფალეჯნებთან ვეზირის გაგზავნა და ყაჭარის ქადილი და ყარამანის ოთხად გაკვეთა ასიმმა უფელივე მოახსენა. უშანგ-შაჰამ ბრძანა: რადგანაც ატრეა დეე ამ რვა დღეს ილხინონ ფალეჯნებმა ნადიმი დაიდვან ვიდრე ომი დაიწყობდეს, მეცხრე დღეს ყარამანისა და ყაჭარის ომი უნდა მოხდეს.

მაშინ მოახსენა ყარამანმა: ხელმწიფეო, იმედი მაქვს ჩემის შემწე საბაოთ დვთისაგან, რომ ყაჭარს ჩემის ხელით გარდაუწედეს, ესე სთქვა და მხიარულებას მიჭუენენ უფელინი ფალეჯანნი და სარდალნი. იმ უმად გარდანქეშანი ზე აღზდგა, ხელმწიფეს თავი დაურა დალოცა და ქება შესახა და მოახსენა: „დიდებულო ხელმწიფეო, თქვენმა უმადლესობამ და ყარამანის ბრწყინვალეობამ ღვინის შეეჭვით, მხოლოდ ჩემი გული მეუბნება რომ ამაღამ წარვიდე რაიაზამთან და იმლაშას უნდა ვეწვიო და იმის თავი უნდა ვიტორო, რადგან იმის საქონლიდამ მეცრე წილი უნდა დავიდვა“. რა გარდანქეშანმა ესე დაასრულა, ყარამანმა უხუმრა: „ჭეი, აიართა სარდალო გარდანქეშანო! რაიაზამისაგან დიდი შიში და მორიდება გმართებს, გათრთხილდი რომ ხელში არ ჩაკვიდოს; თვარა უთუოდ მოგკლავსო“. გარდანქეშანმა სიცილით მოახსენა: წაიძე, ვაიძე სააბუირა-

ნო, თქვენ ჩემ წასვლაზე არას დროს კარგს სიტყვას არ მიბრძანებთ ხელში, ისე რიგათ ყბას დამადგამთ რომ მართლაც უოგელთავე ამისდებს, ერთ სატანჯველს რის ცდით მოფრინა და ახლა კიდევ ახალი შიში ჩამიბედე გულში. რა ესე მოისმინეს უოგელთავე სიცილი იწეეს, მერე ხელმწიფემ უბრძანა: გარდანიქმანო, რა არის რომ მცირეს საქონლისათვის შენს თავს სასიკვდილოთ აძლეო? ხელმწიფეო, წელანაც მოგახსენო რომ იმლაშის საქონელი ბეითაღმანია. იმლაშის რადგან ნათესავი არაფინა ჭყავს, ამიტომ იმისი დანარჩენი ქნება ჩემია, მე ვარ იმის შემგვიდრე ძმობილი, სხვას არავის ესაქმება. გთხოვთ მოწყალეო ხელმწიფეო, თქვენი ბედნიერის პირით დამილოცოთ მგზავრობა და ვნახოთ ჩემი საქმე როგორ მოხდება.

ხელმწიფეს ესე მოახსენა და გაბრუნდა თავის სადგომს მივიდა და თავის თავი ერთ მშვენიერ უმწვილად აქცია და შავს ტანისამოსით მოიბრთა, და როგორც თითონ შეიმოსა ისრედ შირთანჯა და ასიმი შემოსა და იმათ გარდა ცამეტს აიარს მონურა ტანისამოსი ჩაცვა, ესრედ შეიმოსნენ რომ ხაზინადრებს ჭგვანდნენ, ყველას შავები ჩაცვა და დასიკვა ესრედ, ნურას კაცს ხმას ნუ გასცემთ და რაც გითხრათ ჰახუსს ნუ მიუგებთ, საითაც წავიდე თქვენც მომეუფეთ, წინ წარუძღვა და ერთ თვარულ გზით რაიზამის ურდოში მივიდნენ, ჩაუშები მიეგებნენ და ჭკითხეს, ვინ ხართ და რა გინდათ? გარდანიქმანმა უთხრა: ჩვენ იმლაშის ხაზინის შემნახვანი ვართო, ხელმწიფესთან საიდუმლო სიტყვა გვაქვსო, ჩაუშინი შევიდნენ და რაიზამის აცნობეს, ხელმწიფემ იმათი შეუვნანა ბრძანა: რა გარდანიქმანის კრება შევიდნენ მაშინვე ერთობით გლოფა-ტირილი შექმნეს, მკერდსა და თავს მრავალი იცეს და ისეთი გლოფა აჩვენეს რომ ხელმწიფეც აატირეს; მცირეს ხანს უკან ხელმწიფემ ცრემლი მოიწმინდა და იმათი ვინაობა გამოიკითხა თუ რისთვის ჭქონდათ გლოფა?... ხელმწიფემ უთხრა: ჭკი, ყარობნო! აბა მითხარით რა საჯგო და სავედრე ბელი გაქვსთ, მაშინ გარდანიქმანი მწარედ ატირდა და მოახსენა: იმლაშის ხომ თქვენი ჭირის (ცვალი შექმნილა და თქვენი ხელმწიფობა უფნებლად სუთვედესო! მე იმისი სწორე და სანდო კაი ყმა ვარ, თუნდა ამათაც ჭკითხეთ, ესენიც კი დამემოწმებინა, ჩემსავით არც დიდი და არც პატარა ჭგვარებია, ახლა ჩემი მოხსენება ეს არის: იმლაშის საღარო თქვენი მოღარეთ უხურვისისგან აფარა შეიქმნა და მრავალს ხარჯავს რაც თქვენ ჩაბარეთ მას აქეთ ხელი მიჭჭო და ანიავეს, რომელნიც იმისნი ორგულნი იყვნენ, ისინიც კი მიუხრია და ასე აქარვებენ იმდენს საქონელსა, ჩვენ ვერ მოვითმენთ დაუძალეთ და უთხარით, ეს ხომ ხელ-

მწიფე რაიაზამს დარჩა იმის მონას რად უფუჭებთ. მან მოლარეთ უხუცესმა, რისხვით გამოგვეარა და გვითხრა, თვალი დაკიდებათ, ხვალ-ზეგ, ყარამანი რაიაზამს მოჭკლავსო და ეს უოველი მათ დაჩხებათო და მე უნაწილოთ რათ დავრჩეო, მოლარეთ უხუცესისაგან რა ესე ესმა, თქვენნი ორგულობა შევამხნიე: ეს სწრაფად მომიხსენებია და ნება მექვენნი ხელმწიფობისა ასრულდეს, რა კარდანიქმანმა ესე მოახსენა, ვეგლანივე დაემოწმენ, მაშინ ხელმწიფე, ცეცხლის ნაკვერხხალივით ალგზნა და ესრედ უბრძანა: „თქვენ აწვე წადით და იგი სალარო თქვენ მიიბარეთო, ნუღარც იმ მოლარეთ უხუცესს შეუშებთ და ნურცა სხვასო, — და ხვალ მე განხვენებთ იმათ თამაშას, თუ როგორის ტანჯვით მოგვალათ“, ხელმწიფემ იასაული და თავისი ნიშანი გატანა, ამაღამ ეგ სალარო და მისი საკეტი კლიტები ამ თექვსმეტ კაცს უნდა ჩააბარო, ხვალ ჩვენ მოვალთ და ვეგლაფერს ჩვენ განგებთო. როდესაც მოლარეთ უხუცესს ხელმწიფის იასაული და ნიშანი მიუვიდა, მაშინვე სკივრის კლიტე გასაღები კარდანიქმანს მასცეს, შემდეგ ჭკითხა მოლარეთ უხუცესმა: ჩემგან განწირვა და თქვენთვის მიბარება რა მიზეზიაო? იმათ უთხრეს: ჩვენ არ ვიცით, მიზეზი რა არის, ჩვენ რაიაზამის მოლარენი ვართ და ამაღამ ამის ბრძანება გვაქვსო, სხვა არაფერი ვიცით და რა გითხრათ. მაშინვე მოლარეთ უხუცესი და მოლარენი წარმოვიდნენ და თავის სადგომს მოვიდნენ. რა კარდანიქმანმა ისინი გამოისტუმრა, სალაროს ხელი მიჭეო, და ერთი დიდი სკივრი ნახა, შირთანჯას უთხრა: ეს კაღო, შირთანჯამ კაღო ნახა რომ სულ აღმასით იყო სავსე, კარდანიქმანმა უთხრა: აიარეს: „აჰა ჟამი არის გარჯისაო, შირთანჯავ, ეს სკივრი იტვირთე და ჩვენს ჯარში მიდი, შენს კარავს შეინახეო“

იქიდან რომ მოდიოდე სამოცი რჩეული აიარი წამოასხი რომ ესე უოველი საუნჯე თან წავიდოთო, როდესაც შირთანჯა მივიდა უშანგის ურდოს ის სკივრი თავის კარავს შეინახა და სამოცი რჩეული აიარი თან წამოიყვანა გრძნეულნი, კარდანიქმანმა ისე მოწმინდა იმლამის ხაზინა და ქონება რომ ერთი აბაზისა არა გაუშვარა, აიართა აიკიდეს ეს ვეგლა უნჯი და კანძი, მხალოდ ცალიერი ზანდუკები იქ დაუყარეს და თვითონ თავიანთ ჯარში მოვიდნენ უფნებლად, კარდანიქმანმა თავის კარავში მიატანა უოველივე ხაზინა, დაჯდა და ის საქონელი სულ ანუსხა და თქვა: გათენდება თუ არა ამ ნუხსას ხელმწიფეს მივართმევ რაც სურდეს თვითონ ინებოს და აგრეთვე ყარამანმაც და სხვა ფალეგანთაც მისცეს და დანახენი ჩვენ გავიყოთ. რა დილა გათენდა კარდანიქმანი ხელმწიფესთან შევიდა და ვეგლა: აიარნიც თან წაასხა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და და-

დგა. რა ხელმწიფემ გარდანიქმანი და სხვანი იხილა დიდს მხიარულებას მიეცა, გარდანიქმანის ჰკითხა: შენი საქმე რა ჰქენო? გარდანიქმანმა იმლაშის ხაზინის საქმე უოველივე მოახსენა, ხელმწიფე ძლიერ გაჰკვირდა და უბრძანა: ჰქეი, გარდანიქმანო! ხელთ დირსეული რამ იგდე თუ არა? მაშინ გარდანიქმანმა უბიდან იგი ნუსხა ამოიღო ხაზინისა, თავი დაუკრა და მიართვა, ხელმწიფემ წაიკითხა იგი წერილი და შარბი-შაჭას გადასცა, — შარბი-შაჭა ზე აღზდგა და იგი წერილი წაიკითხა ხმა მადლივ. რა იქ მოყოლა ფაღვეანთა ისმინეს დიდათ გაიკვირვეს, იმოდენა ხაზინა იყო რომ ერთ დიდ ქალაქს იყიდდა იმ ხაზინით. ხელმწიფემ ჰკითხა: გარდანიქმანო, აქედამ საჩვენო ფეშქაში რა გაქვსო? მან მოახსენა: ნუსხა იმისთვის მოგართვით რომ რაც ჭნებადეთ ინებეთ თქვენცა და ყარამან-მაც, ამისთვის რომ ჩემი მოძმის ქონებაა და მეც იმის შემგვიდრე გახლავარ. ხელმწიფეს და ყარამანს რაც ნებადართა აიღეს, შემდეგ შუა გაჭყო, ნახევარი საზღალო და ფაღვეანთა მიართვეს და ნახევარიც თვითონ სწორედ გაიყვეს და თვით ამას ამოადა, სულაც რომ არ ავიდოდა, მე მარტო სახელიც მიუოფაო, ამის მხილველნი უოველნი. გარდანიქმანს აქებდენ, ხან იცინოდნენ და ხან უკვირდათ: სვალისად რომის მომზადებაში შევიდნენ უოველნი.

ზე ყარამანისა და ყაჭარის ომი და ყარამანისაგან დამორჩილება ყაჭარისა.

იმ უმაღლ რაიაზამს ერთი აიარო ჰქევანდა, იმან ეს ამბავი ყველაზე უწინ შეიტყო, შევიდა ხელმწიფის წინაშე და თავ-ხამოვლებით დასდგა, რაიაზამმა ჰკითხა: აიარო, რათა ხარ გვრე თქვიანად? რას იტყვი ახალ ამბავს? აიარმა დიდათ ამოიბხრა და სთქვა: „ქვეყნაზედ თუ აიარო ჰქევანდეს ხელმწიფესა, გარდანიქმანისთანა უნდა იუოსო“. აღადო ჰირი და იმლაშაზე, გარდანიქმანის ხამოქმედარი უოველივე აუწია და იმის ხაზინის აკლებაც უთხრა.

როდესაც რაიაზამმა უოველივე გაიგო გარდანიქმანის იმ გვარი ნამოქმედარი დიდათ განრისხდა და სთქვა: ამ საქმეს არც დავიჯერებ და არც შესაძლებელია, იმ წამსვე ვეზირთა უბრძანა, წადით გასაშინჯავათ, ვეზირნი და მოლარეთ უხუცესნი, შევიდნენ სალაროში გასინჯეს და გვრამ ჰკვირეს, შექმნეს გლოვა-ტირილი, თავში ცემა, მოვიდნენ ხელმწიფის წინაშე და უოველივე დაღმბებული აუწიეს. რა ხელმწიფე ნამდვილად დარწმუნდა დიდის მწუხარებით ოვისთა დიდებულთა უბრძანა: შემოეკრებათ

მრავალი ახალი დაშქარი ძველის დასამატებლათ, მათაც ხელმწიფის ბრძანება მსწრაფად აღასრულეს და შეკრიბეს, იმდენი რომ ის არე-მარე სულ აღივსო, მაშინ ხელმწიფე იმ სიმრავლეში მივიდა და ტირილი დაიწყო და მდუღარე ტრემლს აფრქვევდა და უოველივე იმათი თინები უამბო დაშქარს. რა ხელმწიფე იხილეს ესე მტირალი და შეწუხებით, იმათაც იწყეს მწუხარებით ტირილი. მაშინ ყაჭარმა ზე აიხედა და ხელმწიფეს მოახსენა: „ჭეი, ხელმწიფე, ამ საქმეზედ ნუ მწუხარობ, დილა გათენდება თუ არა, ყარამანსა და უშანგ-შაჭას ორთავეს დავხატავ და იმათი საზინატ თქვენ დაკრებთ და თქვენიც უკლებლად იქნება, მხოლოდ ბრძანეთ რომ უოველივე საომრად მოემზადნენ, ხვალ ნახეთ ყარამანს მუქათად რას მივაგებო. რა ესეთი იმედიათი სიტყვას მოისმინეს, გაიხადეს სალხინო ტანისამოსი და საომარი აბჯარი შეიმოსეს და მრავალნი იტყოდნენ, თავიანთ გულში ყაჭარი უეჭველად მოჰკლავს ყარამანს და მისს საქონელს ავარას გახდისო. რა ესე სიტყვები მოისმინეს უშანგის ახარებმა რომელიც იმ ყამად იქ იზოვებოდნენ, მოვიდნენ და უშანგს აუწყეს, მაშინ უშანგ-ხელმწიფემაც ბრძანა და სახვალეთ საომრად მზადება იწყეს, ბრძანა ხელმწიფემ, ხვალ ისეთი ომი უნდა გადახადოთ რომ რაიზამს აღმები დაემხოს.

რა დილა გათენდა, ორსავე მხრიდან საომარს ნადარას ჰკრეს, უოველივე თაღეგანნი მოედანზე გავიდნენ, თავთან განწქესებულ ადგილს დადგნენ, უშანგ-შაჭამ შეხედა ჩინა რომ ყარამანს თიღი-ყამყამი ხმლის მუტი არა შემოურტყავსრა, ჯუბა-ჯაფანნი კი ორივე გაეწყო და სხვა არადა. ხელმწიფე ძლიერ შესწუხდა და უბრძანა: სანბეირანო, იარაღი მოითხოვე და შეიჭურვე, ყარამანმა მოახსენა: ჩემო ხელმწიფე, მე ყაჭარის საომრად სხვა იარაღი არ მიქდა, მწადს რომ სარტყელს ხელი ჩავავლო, გადმოვიღო და დავსტე და ამ ხმლით ორად გაგვეკოთ.

იქით მხარეს ყაჭარმა რაიზამს მოახსენა: ხელმწიფე, დღეს ის დღეს რომელიც აღმითქვამს, ყარამანი და მისი საჯდომი ოთხად მიიდა გაგვეკოთ და თქვენ თამაშა მიუურეთო. ესე სთქვა და მსწრაფად მოედანს გამოვიდა და დადაიძინა: „ჭეი, ყარამან! დღეს ის დღეს რომ შენ ჩემის ხელით უნდა აღსრულდე, ან მე შენის ხელით! ნუღარ იშეშვი მოედანს გა მოდი რომ მე ჩემი ძალ-გულის ამბავი გაცნობოგო“. ყარამანმა უშანგის კალთას აკოცა და მოახსენა: „შვიდთა იულამთა მწერობელი ხელმწიფე, თქვენი კეთილის გონების ღოგით დაილოცეთ“. ხელმწიფემ დალოცა და უთხრა: წარვედ ყარამან ღუთისათვის მიშობარებისარო. იმ ყამად ყარამანს გარდანქმანი წინ წარუძღვა და მოედანს გამოვიდა. ყარამანს სა-

ომარი იარაღი არ ერტყა. უაჭარმა შემოხედა და რა უარამანი უიარაღო
ნახა, დიდის კასკასით გაიციინა და უთხრა: „შენ რამდენსამე დღეს ჩემის
შიშით გაქცეული იყავ; მაგრამ შენმა წერამ კვალად აქვე აღსასრულებ-
ლად და დღეთა შენთა მოსაკლებლად მოგიუფანა, დამიჯერე გაბრუნდი და
სომარის იარაღით შეიტყურე, ამიტომ რომ როდესაც მოგვალა, ის არა-
ფინ სთქვას რომ უაჭარმა უარამანი უიარაღოთ მოკვალა“.

უარამანმა უხასუნსა: „ჭეი, ფალეგანო, უმზგავს სიტყვებით ნუ მე-
ლაპარაკებო, შენზე რა იარაღი მინდა, შენ ჩემი ოთხად გაკვეთა დავი-
ჭადია და მე შენი სარტყელთა ხელის ჩაგდება და მიწაზე დაცემა, მაგ-
რად შევერა და თავის ტანისაგან განშორება. დღევანდლამდის მე შენ არ
გამოგიმეტე, რადგან შენი სიმამრე მესმოდა და რატომ შენ ღმერთებს
თაუფანს არა სცემ და მეტ-ნაკლებსაც ლაპარაკობ ჩემზე“. რა უაჭარმა
უარამანისაგან ესე გაიგონა, დიდათ განრისხდა და ესრეთ სთქვა: წვეუ-
ლიმც იუოს ბედი ჩემი, რადგანაც ამისთანა უმკზავსო გაცემა მე დამიწუ-
ნა. ესე სთქვა და ბასრის ხმაღსა ხელი მოიკრა. რა უაჭარმა ხმალი მო-
უქნია უარამანმა თილი-უამყამს ხელი გაიკრა და მის მოქნეულს ხმაღს
შეუფარა, უაჭარმა ხმალი სცა, მეტის ძალისაგან უაჭარის ხმალი სმად
გატყდა. მაშინ უარამანმა თავის ხმალი ქარქაშს ჩააგო, უაჭარს სარტყელს
ხელი მიჭყო და ცხეიდან მოგლიჯა, ღმერთი თვისად შემწედ გაისადა
და ეს შავის მთის ოდენი ფალეგანი ესრედ გარახა მცწასედ რომლის
სახეც კი მიწაზედ გამოისახა. მერვე ხანჯალს ხელი მოიფლო შავარდე-
ნის მგზავსად მკერდს შეახტა და თავის მოკვეთას ლამობდა, მაგრამ რა
უაჭარმა შესხედა და ნახა რომ თავისი სიკვდილის დღე მოსულა: ესრედ
ხმა ჭეო, ჭეი, ფალეგანთა-ფალეგანო! შენს ღმერთს გაფიცებ ნუ მომ-
კვლავ და შენი მონა მამუოფეო, საბოთ ღმერთიც მიწამებია“. რა უარ-
მანმა ესე მოისმინა აღზღვა, უაჭარი ზე ააყენა; უაჭარმა თვითა კოტნი
დაუწეო, მაგრამ უარამანმა არ ინება და უბრძანა, ფალეგანო, ამას იქით
შენ ჩემი ძმა იმუოფებოდე და მეჯლისშიაც ჩემს მახლობლად დასჯდები.
შემდეგ ბრძანა, შენ ახლა ჩემს ჯარში მიბრძანდი და ჩემს ომს უუურეო.
თუ მე რა განსაცდელს შევამთხვევ იმათ. უაჭარმა თავი დაუკრა და მო-
ახსენა: „საბუიონანო დღეის ომი მე დამინებეთ და თქვენ თამაშა მიუუ-
რეთო, თუ მე რაიზამის ლაშქარს რას დავმარტავ“, მერვე სწრაფად მი-
ბრუნდა უაჭარი და რაიზამის შესძახა: „მე საბოთ ღმერთი ვიწამე, რომ-
ელიც ცისა და ქვეყნის შემომქმედი“. უმზგის ბანდი შევიქმენ და უ-
არამანის მეგობარი, ახლა ჩემს სომარად ფალეგანი გამოგზავნიე. როდესაც
რაიზამმა ესე მოისმინა, ისე განრისხდა რომ ლაშქები დაუსქდა და სი-

სხლი გარდმოედინა. რაიზამის მხრიდან ყარიფამ მწუხარებით ავსილმა რაიზამის თავი დაუკრა და საომრად გამოეთხოვა, ხელმწიფემ დიდათ დალოცა და თავის ბაბუთის კერძს შეაგედრა. ყარიფა მარტო-რქასზედ ამხედრდა, შუბის მხარზედ ტრიალით ყაჭარს მოჰხტა და ესრედ შემოუტია: ჭეი, შენ ჰურმარილის მგობელო და უმზგავსო! რაიზამისაგან რა ნაკლელობა ნახე რომ ამისთანა მადლო ხელმწიფე დაუტევე და ერთის უსჯულოს მონებას ქვეშ მიხველო, ახლა შენს სიცოცხლეს ჩემის ხელი-დამ სად გადაჩენ და ყარიფამ შუბი მიუტანა, ყაჭარმა ფარი იფარა, შუბი მკერდს საკრავად მიუტანა, მაგრამ ფარს მოხვდა, გასცდა და გაიხრა, მეორედ მობრუნდა და ერთი მძიმე ლახტი დაჭკრა. ყაჭარმა იფარა და მას აატანინა, შესამეცა სცა მაგრამ ვერცარა მით ავნო.

აწ რივი ყაჭარს ერგო ღვთის სახელის მხსენებელმა: ძლიერი ლახტი იფარა და გადაურჩა. მაგრამ ესრედ ძლიერად მოხვდა რომ თუ დიდის სიმხნით არ მოქცევოდა სიკვდილს მიეცემოდა, ყაჭარმა მეორედ და შესამეცა სცა მაგრამ ყარიფა ბედნიერად გადაურჩა. ამ ორთა დიდი ბრძოლა გადაიხადეს. ერთმანეთზედ სამოცდა ათი იარაღი იხმარეს და გერა რომელმა ავნო. ყაჭარი კანრისხდა და თავსა თვისსა უთხრა: შენ ვინა ხარ რომ დღეის ოში საბუიარანს სთხოვე და ყარიფასაც ომი ვერ გაუსწორო? ამ თქმაზედ ლახტი ესრედ ძლიერად დაჭკრა რომ ყარიფას თავი მძიმედ გაუსქდა, თვალნი დაუბნელდა, მარტო-რქის ეელს მოეხვია, მარტო-რქამ მოიტაცა და მათის ლაშქრისაკენ გაიყვანა. ყაჭარს უნდოდა რომ მოსწოდა და მეორედ დაეკრა რომ მიწასთან გაესწორობინა, მაგრამ რა ესე საქმე რაიზამმა ნახა მაშინვე ლაშქარს შეტევა უბრძანა და ერთობით ყაჭარს შემოუტოეს. უშანგმა რომ ესე იხილა ჯარს ანიშნა ყაჭარს მიეშველენითო; ბრძანებისა მისისა მოჩილნი მსწრაფლად შეუტოეს და ერთმანერთში დაერივნენ და ისეთი ბრძოლა ასტყდა რომ მამა-შვილს ვეღარ სცნობდა — და ესრედ უწყალოდ ხოცდნენ ერთმანერთს, ისეთ ბრძოლაში შევიდნენ რომ თუ ღამეს არ ესწრო, იმ დღეს გარდასწედებოდა საქმე. რა ღამემ უსწრო; გასყარს ნაღრას ჭკრეს და ლაშქარნი გაშველდნენ. მაშინ ყარამანმა რაიზამს შესძახა, დღეს მიწოდდა შენთვის ბოლო მომედო, მაგრამ რა ვქნა, ეს საომარი ნაღარა ჩემის ხელმწიფის უშანგ-შაჭისაგან განწყესდა, ამის წინააღმდეგი ჩემგან შეუძლებელია; ამისთვის ამაღამ ცოცხალი გადამიჩნი და ხვალაც ამისთანავე ყოფას მოელოდე.

ყარამანი უკან მობრუნდა, ყაჭარს მიესალმა და ერთმანერთა მოვიითხეს, საომარი ტანისამოსი გაიხადეს და საღხინო შეიმოსეს, ყარამანი, ყაჭარი და სხვანი ფაღვანნი ერთობით ხელმწიფესთან მივიდნენ, თავუა-

ნი სტეს; ხელმწიფე ფეხზე წამოუდგა ურამანს, ურამანმა მიიმედ თავი დაუკრა; ხელმწიფემ გამარჯვება მიულოცა და ერთი სახელმწიფო ქვეყანა იმ დღის ხალათად უძობა. შემდეგ ურამანმა სჯჳმანს უბძანა: ერთი მუ-რასა სკამი მოაღებინა და უაჭარო თავის გვერდით დასვა; ურამანის პი-რის-პირ ხოსროშირი იჯდა და სხვანიც თავ-თავის ადგილას ისხდნენ და იმდრონი ერთად მსხდომნი ფაღვეანნი ერთმანერთს ამშველებდნენ, შეიქმ-ნა მეფლისი და ღვინი, ისეთი რომ იმის ქებას ენა ვერ იტყვის. ამ ღვინში ხელმწიფემ ურამანს შეხედა და უთხრა: „ნიადაცამც ესრედ სახე-ლოვნათ ჩემთან დაბრუნებულხარ, ვით დღეს შენი ძლიერება გვიჩვენე და ესრეთი უძლეველი ფაღვეანი დაიმორჩილე და შენს მეგობრად გაიხადე“. ხელმწიფემ თავისი თავი მოიხადა და ურამანს მიართვა, მერმე ბრწყინ-ვალე სახელმწიფო ხიცხა გაიხადა და ჩააცვა. იმის ჯამაგირს ასი ათასი ფურთი მოუმატა, უაჭარსაც მრავალი წულობა მისცა და ამ კზით ღვი-ნობდნენ და უხაროდათ.

აქ ძლიერის ფაღვეანის ჯალაირის სულთანის, ადლან-ჭანდილის მოსვლა რაიაზამის შემწედ, და ამის აიარისა-გან უმანგ-შანჭის აიარების შეპრობა: გარდანქეძანისა, შიჩ-ფანჯასი, ასიმისა, სერაბისა, სელანისა და ელუძისა. შაბ-რანგისაგან მათი გამოხსნა და გარდანქეძანისაგან ჩალაქ აიარის გაკუდვა და სხვებისა.

Qკით მხარეს რაიაზამ ხელმწიფე დიდად შეწუხებული და მგლო-ვიარე თავის კარავს მივიდა, აღარც მეფლისი გამართა და აღარც სხვა რამ, აღარც სჭამარა, ის დამე მწუხარებით გაათენა. რა დილა გაათენდა, რაია-ზამმა თავის ვეზირნი მოიხმო და ფრად შეწუხებულმა რჩევა ჭკითხა და უბძანა: ხომ ნახეთ რომ გუშინ უაჭარმა ურამანს ვერ გაუძლო და იმ მიზეზით დაემორჩილა, მე უწინვე ვიცოდი იმის სიქადული, მაგრამ რა-დას უშველიდი! მე ახლა ესრე ფიქრობ და მეტი ღონეც არ არის რომ უმანგს ექვსი დღის პაემანი ვთხოვოთ და იმ ფაღვეანთა თანა კვალად კაცი გავგზავნოთ, ეგები მალე მოგვეშველნენ. ვეზირნი ხელმწიფის რჩე-ვას დათანხმდნენ. როდესაც ესენი ამ რჩევაში იყვნენ, ეშიკ-აღასი შემო-ვიდა და ხელმწიფეს მოახსენა: ორი უცხო კაციც გახლავს კარზედ და თქვენს ნახვას იხლოებენ, ხელმწიფემ შემოუყვანა ბრძანა, იმანც მოიყვან-

ნა, იმათ ხელმწიფეს მძიმედ თავი დაუკრეს, უთავაზეს სკამები და დასხეს და შარბათს შეექცნენ, ხელმწიფემ ჭკითხა: თქვენ უცხოზო, ვინა ხართ, ან რისთვისა ხართ მოსული?

მაშინ იგინი ზე აღზღვრენ და მოახსენეს: „ადიდოს ღმერთმა თქვენი მეუბობა, დიდი სულთანნი ჯალაირის ადლან-ჭანდილი ხუთასი ათასის კაცით გახლათ თქვენს შესაწევად, უარაჭილ შირათუყარ და ჯანთეფანიც თან ახლავს და აიარათგან ჩინებული ხალაქიც თანა ჭეავს. რა რაიაზამმა ესე მოისმინა, დიდს მხიარულებას მიეცა, მაშინვე სამხიარულო ნადარას ჭკრეს, მახარობელთ მრავალი წყალობა უბოძა და უბოძანა: თქვენ წადით და მე წინ მოგვეგებებით, შემდეგ ბოძანა რაიაზამმა, დღეს ადლან-ჭანდილი მოგზ და იმის შემწეობით ჩვენ მტერთა, ახლა იმედია რომ ჩვენ უნდა ვძლიოთ, მოემზადენით რომ დიდებით მივეგებნეთ და გაიმართა დიდი მეჯლისი, იმ დამეს დიდს მხიარულებას იყენენ, სამხიარულო ნადარის ცემა არ გაწევიტეს, აქეთ მხარეს უმანგი ისევ მეჯლისში ბოძანდებოდა, როცა მათ მხიარულების ნადარის ცემა არ შესწევიტეს. „ასიმ აიარი შევიდა და ხელმწიფეს თავი დაუკრა და მოახსენა: ადიდოს ღმერთმა ხელმწიფობა შენი, გუშინდამ რაიაზამი ომიდან მწუხარე გაბრუნდა, აღარც მეჯლისი გამართა, აღარც ჭამა აღარც სვა, მერე გეზირნი მოიხმო და კარკასან თაქრში იყენენ, ამ უამად ვნახე რომ ორი კაცი მოვიდა და მსწრათლ რაიაზამთან შევიდნენ, რა ისინი შევიდნენ მაშინვე სამხიარულო ნადარას შეჭბერეს, იქ მდგომს ვკითხე, რა ამბავია მეოქი? მან მითხრა, ჯალაირის სულთანი, ხუთასი ათასის კაცით მოსახმარებლად მოსულაო, ხალაქ აიარიც თან ახლავსო, ახლა რაიაზამის ჯარში ამიტომ მხიარულობენ და ამას ამბობენ ხვალ დიდის დიდებით მივეგებნეთო“.

რა უმანგ-შაჭამ ასიმის ნამბობი ისმინა, ესე ბოძანა: ჩემის ღვთისა და უარამანის შემწეობით, იმისგან არ გვეშინიანს. მერე უაჭარმა მოახსენა: „ხელმწიფეო, თავს მოგიხრი თქვენს უმაღლესობასთან და მოგახსენებთ რომ როგორც მე ვიცნობ ადლან-ჭანდილისთანა ფალეფანი არა მგონია ვინმე იყოს და რაც ის ცხენს ამხედრებულა, იმისთვის ომი ვერავის გაუსწორებია, ძლიერ ავგული და მუხთალი კაცია“. თუ წამალი რამ დაგვედება საბოთინისაგან თორემ სხვის იმედი არავისი მაქვს, სიმაღლით ოთხმეტადღაშვიდი მწერითის მჭონებელი არის და საკვირველი მებრძოლი, იმის თითო ნაკრავს ფალეფანი ვერ გაუძლებს, უაჭარმა ისე შეაქო რომ იქ მსხდომნი ფალეფანნი დიდს შიშს მიეცნენ. რა უარამანმა უაჭარისაგან იმ ფალეფანისა იბოღენა ქება მოისმინა, ესრედ უთხრა: ჭკი, ფალეფანო! რა არის ერთი ურჯულო გეშაშის ამღენი ქება? იმისთანა კაცს რომ კაცი

მოკრიას და დაიმორჩილას, უცხო საამო საქმე იქმნება, რა ესე ბრძანა: გარდანქეშან შეხედა და ხუმრობით უთხრა: გარდანქეშანო! ეს ხომ გემის, ახლა ვნახოთ შენი საქმე როგორ იქმნება; რამდენჯერ გამინათავისუფლებინარ პერობილობიდან, მაგრამ ვგონებ ჩაღაქის ხელში თუ ჩავარდი ძნელია იქნება შენი მორჩენა. გარდანქეშანმა პასუხი მიუგო თუნდა თქვენც იმას მიუღქვით ვნახოთ რას იზამთ, მე იმას ასეთ საქმეს უსამ რომ ქვეყანა დასტინოდეს, მერე უშანგმა ბრძანა: გარდანქეშანო, ახლა ხუმრობა დაუტყვე და იმათი შეერის ამბავი გვაცნობე. მამინვე თავიანი სტა და თავისსა კარავს მივიდა, ჰინდის სახედ შეიცვალა და რაიზამის ურდოს წავიდა. იმ ჟამად გარდანქეშანი გამგზავრებულ კაცებში აკრია და რაიზამს წინ წარუძღვა და ადლან-ჰანდილს მიახლოვდნენ, ადლანმა ხელმწიფე დაინახა თუ არა, სპილოდამ გადმოხტა და ფეხით მოეკება, რაიზამს უნდოდა რომ გადმოხტოდა, მაგრამ ადლან-ჰანმა არ ინება, ხელმწიფეს ხელს აკოცა, ხელმწიფე კარდაეხვია და ორსაუ თვალში აკოცა, საუვარლად მიემშვიდობა და ისეთ შექტევით რაიზამის კარავს მოვიდნენ. რა გარდანქეშანმა ადლან-ჰანი გაშინჯა. ისე შეშინდა რომ შემოდგომის ფურცელივით ათროლდა და თავის თავს უთხრა: „თავო ჩემო მრავალი ფაღვეანი გინახავს, მაგრამ ამისთანა ფაღვეანი კი თვალთ, არ გინახავს“. დმერთო შენ დაითარე საბეირანი ამის ხელთაკან. მერე თვალთ მოავლო და ჩაღაქ აიარი იხილა, ცხრამეტო მწერთის სიმადლის მქონებელი, ისეთი სწრაფი მიმოსვრა ჰქონდა რომ თუმც მთენდომებინა მზეს სხივს წასტაცავდა და სანახავად საზარელი იყო, თავისთვის სთქვა გარდანქეშანო, ამის სიფრთხილედ გამართებს. მერე დაფიქრდა და იტყოდა, ჩაღაქი რომლის ხელოვნებით უნდა შევიპურა. ამ ფიქრში გარდანქეშანო ხელმწიფეს კარავს შეჰყვა, ხელმწიფის კარვის გვერდით, ერთი ნაკერი კარავი დასტეს, ადლან-ჰანი იქ შევიდა და მტირედ განისვენა, იმას მრავალი შაქარლამა უურსი და შარბათები მიართვეს, მერე ადლან-ჰანი კარავიდან გამოვიდა და რაიზამთან შევიდა, ხელმწიფემ რომ ქებული: ადლან-ჰანი იხილა წინ მიეკება და ხელი-ხელს დაუჭირა. ადლან-ჰანმა ხელს აკოცა და ხელმწიფემ უპირველესს სკამს დასვა, სარდალნი და ფაღვეანნი წესისამებრ დასხდნენ, მეჯლისი გაიმართა, როდესაც ფაღვეანი ადლან-ჰანი შეზარსოშდა ხელმწიფეს ჰკითხა: უკამანისა და თქვენი საქმე როგორ გარდასწყდა?

რაიზამს ტირილი მოკრია და მწუხარედ პირველიდამ მოკიდებულა უოველივე წვრილად უამბო. როდესაც ადლან-ჰანმა ესე მოისმინა და ხელმწიფე შეწუხებულთ იხილა, მოახსენა: „ხელმწიფე, მაგაზე ნუ სწუხართ, უშანგ-მაჰას ათის დღის პამანი სთხოვეთ, ათის დღის უკან ჩე-

მის ღმერთის შემწეობით უშანგ-ხელმწიფეს, უარამან ჭაბუკს, შენს ძიებ-
სა და ვინც სარდალნი და ფალეფანნი არიან, სულ ჩემის ხელით დაფამ-
ხობ, თუ ასე არა ვქმნა, ჩემი სახელი აღლან-ჭანდილი ნულარ იქნებაო,
მე თუმიცა შენს მოსაშველებლად მოველ მაგრამ ჩემი კმა მიზეზი ეს
არის, ჩემმა სალოცავმა ბაბუთმა მიბრძანა რომ უშანგისა და უარამანის
სიკვდილი შენის ხელით უნდა მოხდესო, წადი და ჩაღაქ აიარინც თან
წაიფანო და რაიზამს წინააღმდეგი დაუმორჩილო, რაიზამის სააბ-
ვირანობის ტახტზე შენ დაჯექიო. მე ამ მიზეზით მოვსულვარ და იმ
ჩემის ბაბუთის ბრძანება უნდა ავასრულო და ეს ბრძანებაცა მაქვს ბაბუ-
თისაგან რომ ოთხი ქვეყანაც სხვა უნდა დაგიმორჩილო“. რა ესე უოვე-
ლივე მოახსენა: იქ მსხდომნი დიდნი თუ მცირენი დიდს მხიარულებას
მიეტნენ. ამ უამად გარდანიქმანი რომელიც იქ იმყოფებოდა, გულსა თვის-
სა იტყოდა, ვაი, თქვე უგუნურნო, თქვენ რომელიც ღმერთად გიწამებიათ
ის უშმაკია და არა ღმერთი, უნდა გაცდინოთ და განსაცდელს შეგამთხვიოთ
მხლოდ, თორემ შენ უშანგ-შაჰას და უარამანს, იმის წყალობით ვერას
დააკლებთ. რომელთაც შემწეობა ჰქონდათ საბაოთ ღმერთი, ცისა და ქვეყ-
ნის შემომქმედი, აგრეთვე მეც ვერას დამაკლებს ჩაღაქ აიარი. ჯერ ეს-
ლაგ ვეცადო ამ ბილწ ჩაღაქ აიარის საქმეს, ეგები როგორმე გავაბა მა-
ხეში მერე აღლანჭანდილის ვაღს შეუდგე, შემდეგ წამოსულა დაპირა.

იმ უამად ჩაღაქმა თვალი მოჭკრა მათ შუამდგომარე გარდანიქმანს
მწერაღის სახით, მაგრამ მისი ვინაობა არ იცოდა და შეამჩნია რომ ეს
უნდა იყოსო გარდანიქმან აიარიო, თუმიცა გარდანიქმანი არ იყოს ეს ვი-
დაც არის ერანელსა ჰეგასო, კვალად დათვალიერა ჩაღაქმა ნახა რომ გარ-
დანიქმანი ბაგეს ათრთოლებდა, ცალის თვალით აღლანჭანს უუერებს და
ცალის თვალით ჩაღაქს, მაშინ ჩაღაქმა ხელმწიფეს მოახსენა: გზის სი-
შორემ არა მცირედ შემაწეხა, წყალობას ვითხოვ დასტური მიბოძოთ
მცირეს მოვისვენებო. ჩაღაქი გამოვიდა მსწრაფად და თვისსა კარავს მი-
ვიდა, ინდოური ტანისამოსი ჩაიცვა, ნუელსა შიგან ბუშტარი (სათრობუ-
ლა) გაურია, მარცხენა ხელს მიიცა, მარჯვენა ხელით სხვა უწამლო ნუ-
ელსა ჭამა დაწყო და ისე ჭამით წავიდა და გარდანიქმანისაკენ მივიდა
ბუშტარიანი ნუელი მცირედი გარდანიქმანს უთავაზა, გარდანიქმანმა ჯი-
ბეს ხელი გააკრა და თეთრი ამოაღო და სხვადა სთხოვა შესასუიდათ, ჩა-
ღაქს რაც ჰქონდა უოველივე მიჰვიდა და განემორა, გარდანიქმანი ამ
ნუელის ჭამით მთისაკენ წავიდა, ჩაღაქ აიარი შორი-ახლო დაედუნა და
ნახა რომ გარდანიქმანს წამლისაგან ძალა დაადგა და დაბარგანავა, წა-
იქცა და დაბნდა, ჩაღაქი მივიდა მაგრა შეკრა და ზურგს წამოიკიდა, თა-

ვის კარავში მოიყვანა და მოკვლა დაუბირა, სთქვა თუმცა შემძღვან ამის სიკვდილი მაგრამ, ამის შეგირდნი დამსჯიან. უმჯობესია ისინი ყველა შევიპურა და ერთობით დავხოცო, კარდანიქქმანი შეკრული და შებნედილი ერთს კიდობანში ჩადვა და კლიტე დაადვა და გამოვიდა.

იმ ღამეს რაინჯამმა ბრძანა: ჭეი თაღუგანხო, აწ მომზადების ჟამიაო, ამათ დღეს მაკმისადენით, რომელნიც საჭირონი იყოთ მოემზადებით და ამ ზოს დღის უკან რამ იქნება. მაშინვე ადგნენ ყოველნი მეჯლისი-დამ და თავთავისად წავიდნენ, ადღანი თავის კარავს მივიდა, რა დილა გათენდა ჩაღაქი ერნაელთ ტანისამოსით შეიმოსა და უშანგის კარავს მივიდა, მეორე დღეს უშანგ-ხელმწიფის მეჯლისი ჯერ კიდევ არ გათავებულყოფო და კარდანიქქმანის მომლოდენი მის გზას უეურებდნენ, ხელმწიფე და თაღუგანნი. შემდეგ უშანგმა შირთანჯა აიარი მოიხმო და უბრძანა: არ გაგვიარს რომ კარდანიქქმანი არ მოვიდა? როგორც სჩანს ჩაღაქის ბადეს გაბმულა, წადი და მისი ამბავი მალე გვაცნობე.

შირთანჯამ თავა დაუკრა და მსწრაფლ გამობრუნდა რაინჯამის ურდოსაკენ წამოვიდა, ჩაღაქი აიარიც უკან გამოჰყვა და ორნივე რაინჯამის უდროს მოვიდნენ, შირთანჯამ აქა-იქ სიარული იწყო და კარდანიქქმანისა ვერა გაიგორა; ჩაღაქი მაშინვე წავიდა, ერთი სახეღარი იშოვა, ერთი ხურჯინი გადაჭკიდა, ცალ თვალში ორი ნაზუქი ჩადო, მეორეში ერთი ქოთანნი მსწონი ორივე ბეუშტარით შემზადებული, წავიდა და სცა შირთანჯას მოსაბრუნებელი ალაგი იყო, ვიარი იქ დააყენა და თითონ დაიმალა, თარულად მხერა დაუწყო, შირთანჯამ კარდანიქქმანისა ვერა გაიგორა, გამობრუნდა და მას გზასე წამოვიდა და მას განიზრახვიდა ხელმწიფეს კარდანიქქმანის ამბის უცნობლკანას მოვასხსენებო, თუ ჭირში რამეში ჩავარდნილა, ადრევე მიეშველნენ, მსწრაფად მოვიდოდა შირთანჯა, ვიარის სიახლოვეს მოვიდა, აქეთ-იქით მიმხედა და, ვერა ვინ იხილა, გაშინჯა ნახა რომ ხურჯინში ნამზადი საჭმელი იდგა, მაშინ ბედნიერად ხდიდა თავისს თავსა და იტყოდა, თავო ჩემო, კარგი ბედნიერება შეგემთხვა რომელიც კიდევაც მშიან. ამოიღო იგი ნაზუქი და მსწონი, თამამად ჭამა დაუწყო, იგი მოწამლეული ნამზადი მოკვიდა, შირთანჯა შებნდა და წაიქცა, ისიც ჩაღაქის ბადეს გაება, ჩაღაქი მოვიდა შეკრა და იგიც წაიყვანა და კიდობანს ჩასვა, კასკასით გაიციხა და უთხრა: კარდანიქქმანო! აიარობაში რომ არავის იდრიდი აწ რას იტყვი ახლა? ჩაღაქს აიარობა შესძლებია თუ არა? რა ესე სთქვა, ცალი ხელით ჩამოჭკიდა და ორას ორასი მათრახი ჭკრა, ჩამოხსნა და აკრეთვე შებნდა შეჭკრა და ზანდუკს ჩასვა და უთხრა: მიიძინე ვიდრე შენ ამხანაგებს გაჩვენებდე და მერე

რომელიც თქვენი ღირსება იქნება ის აკისრულდებათ და თუმცა სიკვდი-
ლი იმლაშასი გიხაროდ, აწ შენც მოგელოდება იმისთანა სიკვდილი. ჩა-
ლაქი რაიაზამთან შევიდა და ღაღვა.

იქით მხარეს, რა შელამდა უმანგმა ბრძანა: ეს რა დაგვემართა, რომ
ვინც გავგზავნეთ, უკან დაბრუნება აღარ ელირსათ და დიდათ უკვირდა
და სწუხდა, მეჯლისი გათავეს, ხელმწიფე შებრძანდა მოსასვენებლად.
რა დილა გათენდა ჩალაქი უმანგის ჯარისაკენ წამოვიდა, იმ ჟამად ორ-
თავე ხელმწიფეთ მეჯლისები შექმნეს, მაგრამ უმანგი აიარებისათვის
სწუხდა ხელმწიფე იმ ჟამად ასიშს და სერაბს უბრძანა: აიარნო იქნება
თქვენ ერთი რამ ამბავი მოიტანოთ, თუ რა დაემართათ რა ხელმწიფე-
საგან ესე ბრძანება მოისმინეს, სადგომს მივიდნენ და ინდიურათ შეი-
კაზმნენ. ვიდრე ესენი წავიდოდნენ, ჩალაქი აიარი იმ წამსვე წავიდა და
თავის ჯარში მივიდა, ერანული ტანისამოსი გაიხადა და ინდოურათ შე-
იშისა, ასიში და სერაბი მთის გზისაკენ მიდიოდნენ, ჩალაქი იქ გამო-
ეცხადა და დაუწყო ტკბილათ საუბარი, სადაური ხართ ან სად მიდინართ
და ამოლბაში ნუყეს ჭამა დაუწყო თითონ და იმათაც უთავაზა ბანგიოთ
მომზადებული თითო ნუყელი და ხურმა ასიშს და სერაბს, ამათ დაუმაღლეს
თერთი მისცეს და კიდევ გამოართვეს ხურმა და ნუყელი, ნელ ნელა ჭამით
მივიდოდნენ, რაიაზამის კარავში, ხელჯობხიანებში გაკრიფნენ და ეურება
დაუწვეს, მცირე ხნის შემდეგ ასიში ცრუდ გუნებაზედ შეიქმნა მობრუნდა
და სერაბს უთხრა: მიშველე რამე, ის სწორედ აიარი იყო და ბეუშტა-
რი შეგვეპარა, თან-და-თან შეკიდება, ჩვენი თავის გზა ვძებნოთ და კარს
გავიდნენ, იმათ სურდათ რომ როგორმე თავიანთ ურდოსთვის მიეტანე-
ბინათ მაგრამ გზაზე ორნივე წაიქნენ, მსწრათ ჩალაქი მივიდა შეჭკრა
და თავის კარავს მიიყვანა, როცა გამოფხინდლათ ნახეს რომ კარდანიქე-
შანი და შირფანჯა იქ არიან, ამოიხრეს და თქვეს, დმერთო ეს რა თა-
თურაკს წავგვიდებით, ამ წყევლმა თუ არ დაგვხრცა დმერთს მადლობა
მივსცეთ. ჩალაქი მოვიდა ჯერ კარდანიქეშანი და შირფანჯა ჩამოგვიდა,
ორ ორ ასი მათრახი ჭკრა საჯდომს და კვალად ბეუშტარი ასუნებინა და
ზანდუეს ჩასხა, კვალად სერაბს და ასიშსაც იმათ შარბათი ასფა და კი-
დობანს ჩასხა. თვითონ კვალად უმანგის ჯარისაკენ გაემგზავრა და უმან-
გის კარავს შევიდა, უმანგმა თვალი მოავლო ნახა რომ იგინი გაგზავნი-
ლი აიარნიც არ მოვიდნენ, მასინ უმანგმა სთქვა: დმერთსა ვფიცავ რომ
ჩვენი აიარნი რომ მიდიან ისინი იტყვენ და ამწუფდევენ, ამიტომაც არ
მოდიან უკან, თორემ ერთიც არის ამბავს მოგვითხარდნენ. შემდეგ მი-
იხედ-მოიხედა, სელუმი და ელუმი აიარნი დაინახა, უბრძანა: აიარნო, თქვენ

საღამომდის მოიცადეთ და წადით ეგები ამბავი რამ მოიტანათ, სხვანი ვინც წაფიქრებენ უკან აღარ დაბრუნდნენ. სულედი და ელედი აიარნი მსწრაფელ მოქმედებებს წასასვლელათ და წარვიდნენ. მეჯლისი მოიშალა, უმანგი და ყოველნი დიდებულნი თავ-თავისად წარვიდნენ.

ჩაღაქმა უმანგის ბრძანება გაიგო, რომელნიც კაცზავნა ამბის სასმენლად, მაშინვე დაბრუნდა ჩაღაქი თავის ურდოს მივიდა და თხუთმეტნი აიარნი წამოასხა და მიიყვანა ერთს მთის კალთაში და დაწალა და ესე დაარბოა, ზე წამშობვე აქ ორი აიარნი გამოიფლის და თქვენ მსწრაფად შეიბურათ და შეჭკარათ. ჩაღაქი მსწრაფელ წავიდა, სულუმს და ელუმს წინ მიეგება, ჩაღაქს მიესალმნენ, ჩაღაქმა ამბის კითხვა დაუწყო, სულუმმა ჭკითხა: შენ ვინა ხარ რომ ჩვენ ამბავს გვკითხავ? მან მიუგო მე ჩაღაქის ამხანაგი ვარო, მაგრამ ორგული ვარ იმისი, ამისთვის რომ გარდასწავნი და მე ძმად შეთუცულნი ვართ, ახლა ჩაღაქმა, გარდასწავნი, შირთხანჯა, ასიმი და სერაბი შეიბურა და ჰერობილად ჭყავს და ქეშინი უდგანან, მე გარდასწავნიმა გამომკზავნა, ჩვენ ჯარში მიდიო, ორი შეგირდი მუავს ერთს სულუმი ჭჭვიან და მეორეს ელუმი, ისინი ჩემთან მოასხიო რომ ეგები იმათ გამანთავისუფლებო, ეს ძლიერ კარგათ მოხდა რომ წინ შემოგვარნით, მე აღრევე შეგატყუეთ რომ თქვენ უნდა იყოთ სულუმი და ელუმი აიარნი, აიარებს ესე საქმე დიდათ იამათ და უთხრეს: ჩვენა ვართ სწორედ, ჩვენ მხოლოდ იქამდის მიგვიყვანე და რადგანაც შენც ჩვენი შემწე იქნები, ღვთით მალე გავანთავისუფლებთო. ჩაღაქი წინ წაუძღვა და სადაც თავის აიარნი დამალულნი იყვნენ, იქ მიასხა. რა მათ აიართა იხილეს მაშინვე მისცვივდნენ, შეჭკრეს და ჩაღაქის სადგომს მიიყვანეს. მაშინ ჩაღაქი შევიდა გარდასწავნი აიარნი და სხვანი ცნობას მოიყვანა. და ორას-ორასი მათრახი ჭკრა, ცემამ ტანი სულ დაუხეთქა ვეჭლას. გარდასწავნიმა უთხრა: „ჩაღაქ აიარო, ჩვენ რომ ესე გვტანჯავ შენი სწადელი რა არის? ახრულე და მორჩი რადა, რა დანაშაული გვაქვს რომ ამისთანა სსსჯელს გვაყენებ“? ჩაღაქმა კასკასით გაიციინა და უთხრა: „ეგ რა სატანჯველია, თქვენთვის შექცევსა და ხუმრობა, როცა შაბრანგსაც ხელთ ვიგდებ, მაშინ გაუწიებ, ტანჯვა როგორ უნდა“. ჩაღაქი დაჯდა და აიარანი გარს შემოისხა და ღვინის შექცევლად და მათ აყურებინებდა, მაშინ გარდასწავნიმა უთხრა: „ჩაღაქ დმერთსა ვფიცავ იმედი მაქვს რომ აქედამ გავთავისუფლდეთ და ვეცდები რომ მერე შენ შეიბურა, მაშინ აღარც შენ ვედრებანს შეგისმენ და ტუავს ხორცილად გაგაძრობ და ბაღახით აგვსებ და აღლანჭანდილის კარავ წინ ჩამოტკიდავ რომ აღლანჭანდილმა თავის თვალთ ცნახოს. მერე თვით აღლანჭანსაც ასეთ საქმეს უზამ რომ

მეორედ მოსვლამდის იხსენებოდეს, ჩაღაქი განრისხდა და მაშინვე კიდობანს ჩაგდო და ეველას თითო ქეშიკი დაუეჩნა, ჩაღაქმა მეჯლისი მოსალა და უშანგის ლაშქრისაკენ გაემართა. ამ ჟამად უშანგ-ხელმწიფე ტახტს დაბრძანდა და დიდებულნი ეველანი იახლენი და უარამანიც შემობრძანდა და თავის ალაგას დაჯდა, ხელმწიფემ საბუთირანს უთხრა: საკვირველია რომ ეს აიარნი სად იუღაშებიან, არც დღისით წასულნი შრუნდებიან უკან, და არც დამით, ახლა არ ვიცი რა უეო? ვილა კავგზაფრო? უარამანმა მოახსენა: უთუოდ ისინი შეპერობილნი იქნებიან, თვარა აქამდისი ან ერთი გამოჩნდებოდა ან მეორე, ან რომელიმე ჩვენი აიარი განდანიქშანს, თავის ხელთნებით ჟანთავისუფლებდა, ხელმწიფემ ბრძანა: ვაი თუ პერობილად არ იუენენ და დახოცეს ესე სოქვა და შაბრანგს შეხედა და სოქვა: შაბრანგს აწ რივი შენზე მავადა, უნდა შენ წახვიდე და ერთი ამბავი რამ გვაუწყო. შაბრანგი დაფიქრდა და სოქვა თავისთავის: ახლა მგონი რომ ის წყუელი ჩაღაქი აქ სადმე იყოს, მე უარს ვატყვი ჩემ ხელმწიფეს, მაშინ ხელმწიფე დალოცა და მოახსენა: დიდებულო ხელმწიფე, მე ვგონებ რომ რაიანამის ჟარში ისეთი კაცი არ იყოს. რომ მე არ მიცნობდეს, რამდენ რიკათაც გინდა შევიცვლო მანიც მიცნობენ, და უეჭველად მომკლავენ, წყალობას ვითხოვ რომ მე არ გამოგზავნოთ, მე სხვა მხრივ გამოგადგებით. ხელმწიფემაც ძალა აღარ დაატანა. იმ ჟამად ჩაღაქი იმყოფებოდა თარულად, რა ჩაღაქმა შაბრანგისაკენ ესე მოისმინა, თავის გულსა სოქვა, ჭეი, შაბრანგი შენ ჩემი ბრჭყალებისაკენ სად კარდაიხვეწები, დღეს შენმა ბედმა კასტრა, ახლა წავალ კარდანქეშანთან შევექცეო, ესე იფიქრა და წამოვიდა თავის კარავს, რა კარავს მოვიდა მაშინვე მეჯლისი გამართა და როცა დადამდა შაბრანგმა ძველი ტანისამოსი ჩაიცვა და ჭინდის სახედ შეიცვალა, თავის საკრავი დამბურა აილო და ადლაჭანის სადგომს მივიდა, შემოუარა ოთხივ-კუთხივ და ჩაღაქის კარავს მივიდა, საკრავი დამბურა მომართა და ხელა-ხელა ტკბილად დაუკრა, ჩაღაქ-აიარს საკრავის ხმა მიესმა, ერთს აიარს უთხრა, წადი და იგი ვინც რუბაბის დამკვრელია აქ მომგვარეო, აიარმა რუბაბის დამკვრელი შაბრანგი შეიყვანა, ჩაღაქმა უბრძანა: „ოსტატო ჩემ წინ მოდი და მცირედი რამ დაუკარ და შეგვაქციეო, მე შენ მრავალ წყალობას გინახამ“.

შაბრანგი დაჯდა და რუბაბს დაჭკრა, ჩაღაქმა ჭეითხა: შენ საით მიხვალ და ან ვინ ხარ? შენ როგორც გეტყობა უცხო ვინმე უნდა იყოფო, შაბრანგმა მოახსენა: არა მე რაიანამის ჟარის კაცი გახლავარ, რაც დიდებულნი თალეგანნი არიან, რუბაბს მაკვრევენებენ შევაქცივ და რამეს მარჩუქებენ, დღეს ვსთქვი წავალ ჟალაირის ჟარში, ეგები ვიშოფო რამე მეთ-


ქი, მოველ და ამ თქვენს კანკას შემოვხვდი, დღეს თქვენის დოქტორითი ხეში სამუოთი ვიშოვნი; ახლა წყალობას გთხოვ რომ დამითხოვოთ, დამუა ვიშიში გზაზედ არა წამკვიდლოსრა, ვაი თუ რაც დღეს ვიშოვე თქვენგან, წაშართვას ვინმემ. ჩაქაქმა უთხრა: „ასტატო ამაღამ აქ იყავ შეგვაქციე და კვალად წყალობას გიხაძო“. რა შაბრანგმა ეს მოისმინა თავი დაუკრა და რუბაბს ხელი მიჭყო, და რა დაიდალა ძირს დასდვა, რა ჩაქაქი ზარხში შექქნა, კიდობნები დაღო და უშანგის აირანი ამოიყვანა, როცა შაბრანგმა გარდანქქმანი და სხვა აიარები ცოცხალი იხილა დმერთს მადლობა შესწირა, და სთქვა თავის გულში დმერთო შენ გა. ადვილეუ ხეში გქელი გზა და ეს პურობილნი გამანთავისუფლებინეო, ჩაქაქმა გარდანქქმანი და სხვანი, ცნობას მოიყვანა; გარდანქქმანმა როცა თვალი ახილა მაშინვე უთხრა ჩაქაქმა: ჰეი გარდანქქმანი! დღეს შენმა ბედნიერებამ იმუშავა; უშანგ-შაჭა შაბრანგს გზავნიდა მაგრამ შეშინდა და არ წამოვიდა, თუ წამოსულიყო; იმასაც ვინადირებდი და შემდეგ რა-აზანმის წინ ტანჯვით დაკხოცავდითო, მაგრამ ხვალამდის სიცოცხლე კვალად მოკვრათ.

ჩაქაქმა სთქვა: არა უშავს რა, რა დილა გათენდება, შაბრანგი ასეთის ხელოვნებით შევიპყრა რომ მსმენელთაგან საცხარი იყოს; რა ესე სთქვა: გარდანქქმანს თვალეებში ღვირო შეასხა, შაბრანგმა რომ ეს დაინახა, თავის გულში სთქვა: ეს ურჯულყო ხედავ როგორა სტანჯავს გარდანქქმანს, თუ მეც ჩავარდნოდი ხელში, შენი მტერი რომ ხეში საქმე იქნებოდა, კარგრი რომ ხელმწიფეს განზრახ უარი უთხრა აქეთ წამოსვლა. ესეა როგორმე უნდა ვეცადო რომ ამაღამ გავანთავისუფლო თორემ საქმე უფრო გაძნელდება, ესე სთქვა თავის გულში და დამურეს დაუყო დაკვრა საამურის ხმით, უკრავდა და ზედ დამურდა, გარდანქქმანი დიდათ შეწუხებული თავ დაღებით იჯდა, შემდეგ საზანდარს შეხედა და იცნა რომ მედამურე შაბრანგი იყო, ასეთ მხიარულებას მიეცა რომ ძნელად მოითმინა და კინადამ შესძახა შაბრანგ გვიშველე რამ, გარდანქქმანმა სხვათაც ამცნო და იგიინც მხიარულებას მიეცნენ და დმერთს ეგვიდრებოდნენ შაბრანგს ხელი მოუშართყო. ვიდრე დაშის სხმი წილი გავიდოდა მანამ ღვინსა და განცხრომას იყვნენ და როცა მეჯლისი მოიძალა უოკელნი თავ-თავისად წავიდნენ. ჩაქაქმან ექვსი აიარი დარჩა, ჩაქაქმა საზანდარს უთხრა: „ინდო შენც მანდ დაწევი ძილად“. ჩაქაქმა გარდანქქმანს და სხვათა ბეუშტარი მისცა უველას და კიდობნებში ჩასხა და თითო აიარი ქეშოკათ დაეჭრა, ჩაქაქი მოსვენებას მიეცა და ქეშინი აიარინც ძილად მიწვნენ. იმ უამად შაბრანგმა მიმოიხედა, ნახა რომ ეო

ველთა სძინავთ, 'ხე აღსდგა და ღვთის სახელი ახსენა, წყნარის ქცევით ჩაღაქს მიმართა, ბუუტარი ასუნებინა და უცნობა შეიქმნა, შემდეგ მობრუნდა და უოველთავე ბუუტარი მისცა, შაბრანგმა ჩაღაქს მიმართა და ვიბიდან გასაღებები ამოართვა, დააღო კიდობანი და ჰერობილნი აიარნი განთავისუფლდა. როდესაც ამათ თავიანთ თავი განთავისუფლებულნი იხილეს, მოვიდნენ და შაბრანგს თავი დაუკრეს, შემდეგ გარდანიქმნა უთხრა: შაბრანგ, შენ იცნა ახლა რა სიკეთე გვიყავ, შენი სახელი მეორედ მოსვლამდინ იქნება ხსენებული და ღვთით ამის მაგიერ შემოკიდნით, ჩაღაქს და იმის აიარებს მალ-მალ ბუუტარს აძლევენ, არ გამოეღვიძოთ. შემდეგ ჩაღაქი და სხვანი ზურგს იტვირთეს და მთისაკენ წავიდნენ, ხელ-ფეხის მაგრად შეკრული, შემდეგ ცნობას მოიყვანეს ვეველანი. რა ჩაღაქმა თავის თავთ ჰერობილად იხილა, მაშინ მიხვდა რომ იგი საზანდარი უოფილა შაბრანგი, დიდი ქება შესახა და გარდანიქმნის უთხრა: „უოფლის აიარების სულთანო მე ხომ შენი ტყვე შევიქმენ და შენმა მაგირდმა ესეთი საქმე მიუო. მე შესისხლე მტერი ვიყავი და მაგიერი მამკო დმერთმა“. იმისთანა ტკბილი ლაზარაკი დაუწყო ჩაღაქმა რომ მეტი აღარ შეიძლებოდა გარდანიქმანი განრისხდა და უთხრა: „მაგდენ ლაზობისა მე არა ვიციკა! დამეხსენ გათენებამ მოატანა მინდა კაკგუდოთ და ბალახით დატენოთ, აღლაჭანის კარავს უნდა ჩამოკვიდოთ ცალ-ცალ-ფეხით“.

როდესაც ესე ესმა ჩაღაქს, უთხრა: „ჭეი, აიართა აიარო გარდანიქმანო! გოზო დიდის ვედრებით, რომლის სიკვდილითაც გნებადეს იმით დაგვხოცე, მხოლოდ ნუკი დაგვატყავებ და ნუ კაკგუდავ“. გარდანიქმანმა მათი ვედრება არ ისმინა, ვეველას თითო მუშტი გულში დასცა და ისევ სულეები ედგათ რომ გულებათ ამოიღო, გარდანიქმანმა ტყავები გასადა თუ არა ვეველანი ბალახით დატენა და აღლაჭანის კარს მიიტანა და შვიდივე თავ-დაღმა დაჭკიდა. და რაც ჩაღაქ აიარის კარავში ხაზინა იუო, უოველივე აიკლეს და წამოვიდნენ, და უშანგის კარავს მოიტანეს.

იმ ჟამად სარდალნი და ფალეუანნი თავ-თავის სადგომს იყვნენ. ყაჭუაი-ფილურსავარ და თეირ-დაშტი ხელმწიფის კარავს ქეშეობდნენ და გარდანიქმანის განზრახვას იყვნენ და მის ამბავს ერთმანერთს მოუთხრობდნენ, გაიხედეს ნახეს რომ გარდანიქმანი აიარებს წინ მოუძღვის და მოდიან, მაშინვე ყაჭუაი ხელმწიფისთან შევიდა, ხელმწიფე ამ ჟამად აიარებისთვის დიდი მწესარე იჯდა, იმათგან უიმედო შექმნილიყო და ესე ამბობდა: თუნდა გარდანიქმანი ჰერობილად უოფილიყო, აქამდის თავს განთავისუფლებდა. ამ ლაზარაკში რომ იყო ყაჭუაი წინ წარსდგა და მო-



ახსენა: ხელმწიფეო! გარდანიქმანი და სხვანი აიარნი სულ გახლენო. რა ესე მოისმინა, დიდი სიხარული შეექმნა, ფალეუანნი და სარდალნი წინაშე ხელმწიფისა შემოიკრიბნენ და როდესაც გარდანიქმანი შევიდა ადგნენ და ყოველნი მიესალმნენ, გარდანიქმანი მივიდა და ხელმწიფეს მოესხა, ხელმწიფემ უბრძანა: „ჰეი, გარდანიქმანო! დიერთი რომ შენ თავ მართმევიდა, შენი ნაცვლად სხვას რას მადლევდა?“ მაშინ გარდანიქმანმა თავის ამბავი ყოველივე მოახსენა, ამის მომენელს უველას უკვირდით, ყარამანი სიცილისაგან ვეღარ დასცხრა და უთხრა: გარდანიქმანო, ესლაც არ გაუფრთხილდები? მაშინ გარდანიქმანმა მოახსენა: ხელმწიფეო, თუ იქებებ ამდამ ადღან-ჰანდილთან მცირე საქმე მაქვს, ყარამანმა სიცილით უთხრა: „მოდო დამიჯერე, შენ იმის კარზედ სხარულს დაეხსენ, თორემ ასე თქმულია ნიადგ კოკა წყალს არა ზიდავსო, ერთხელაც იქნება რომ გატუდეს“. გარდანიქმანმა მოახსენა: ღვთის გულისთვის, საბოყირანო მაგისთანაგებს ნუღარას მიბრძანებ, რაც მითხარი უველა ამიხდა, მე რომ იმათ შემინჯრან და დამტანჯონ შენ რა შეგემატება? მაგრამ ავი კაცი ხარ, შენისთანა მეგობარი რომ შეავდეს, მე იმისთანებისა არ შემეშინადება, მაგრამ ეს კი ძნელია, რა მე იქით ვიზამ, ისარსაგებ სიტუვას შესვრი ხოლმე და შიშის ეჭვში ჩამაგდებ: იმლასარი არ იყოს. ყარამანმა უბრძანა: ჩემო გარდანიქმანო, მე ხომ მითქვამს და ახლა შენ იცი, ამ სიტუვებზე ხელმწიფემ და დიდებულთა მრავალი იცინეს და ამის თადარიგში შევიდნენ. გარდანიქმანი მაშინვე წავიდა და რაიანამის ურდოს მივიდა.

აქ ყარამანისა და ადღან-ჰანდილის ომი ძლიერი და საშინელი, ცაძეკ დღეს და ყარამანისაგან მისი სიკუდილი.

რა დილა გათენდა, იქით მხარეს რაიანამის ლაშქარმა ადღან-ჰანდილის კარავს კარეთ, ნახეს რომ შვიდი ვინმე გაგუდული ცალ-ცალ ფეხით ჰქვიდიან, რა ახლავს მივიდნენ ნახეს რომ ჩალაქ აიარი და ექვსნი შეგირდნი მისნი, ტყავი ხორცთაგან გახდილი და ბალახით სავსე ჰქვიდიან, დიდი კლოფა და ვაება შექმნეს. როდესაც კლოფობდნენ ხმა ადღან-ჰანს მიესმა, და გამოიკითხა ეს რა კლოფა-ტირილის ხმა ისმისო? მაშინ დიდებულნი შევიდნენ ადღან-ჰანთან და მოახსენეს: წუხელის მოსულან, ჩალაქი და მისნი ექვსი მაგირდნი დაუხატნიათ და თქვენ კრავ წინ დაუკიდნიათ, ბალახით სავსენი გაგუდულნი.

რა ადღან-ჰანმა ესე მოისმინა, დიდს მწუხარებას მიეცა, ვეღარც ად-

სდგა და ველარც დაჯდა, მაშინვე წამოხტა რაიასამთან მივიდა და ეს წუხინდელი ამბავი აცნობა, ისე კანრიშხებუელიყო ადღაჭანი რომ თვალთაცან სისხლი სწევთდა და მოახსენა რაიასამს, ხვალ ბრძანება გაეცით რომ საომრად შემზადდნენ, ან თავსა ჩემსა მოფიქლავ ანუ ჩემის აიარის სისხლს ავიღებ. მაშინვე ხელმწიფემ ბრძანება გასცა რომ სახვალთოდ მომზადებულყოფნენ. რა დიდებულთა ესე ბრძანება ისმინეს ხვალისად ომის თადარიგი იწეეს, იმ უამად კარდანიქეშანი იქ იყო და უოველივე იმათი კანზრასხვა თვითეულად გაიგონა, იქილამ გამოეშურა და თვისსა ლაშქარს მოვიდა, ხელმწიფეს თავი დაუკრა და მათი ამბავი უოველივე მოახსენა: უშანგ-ხელმწიფემ ბრძანება გასცა რომ უოველნი საომრად მოემზადნენ. მაშინვე საომარს ნაღარს ჰკრეს და იმ ღამეს გათეებაშიდისინ ნაღარის კგრა არ შესწუვიტეს.

რა დილა გათედა და ლაჟვარდის თერმა ცამ სიბნელის ზეწარი დახია და ქვეუანას თვისი ბრწყინვალება მოჭოვინა, ორსავე მხრის ხელმწიფეი ცხენს ამხედრდნენ და საომარს მოედანს გამოვიდნენ, მეწინავე, შემარჯვენი და შემარცხენე განაწესეს, დასტები დააწვეს და უოველნი თავ-თავის ალაგას დადგნენ, უშანგიც თავის ბედნიერს ტახტს დაბრძანდა და თავისი გულგვანნი ფალგვანნი მოედენზედ ნავარდობდნენ და უარამანს უურებდნენ, თავათ უარამანი კავა თუ სხვა. ინდოეთის მხრის ლაშქარიც ამხედრდა, რაიასამ ხელმწიფე დიდის დიდებით ტახტს დაბრძანდა, ზღვა-საებრ მღელვარე ჯარები დასტა დასტა დასდგნენ, სარდალნი თავის დასტებს მურასა ნაჰასებით გარს უვლიდნენ, ორსავე მხრილამ ფალგვანთა თვალთა მოედანზედ ეჭირათ, ვნასოთ მოედანზედ ვინ გამოვალ და ვისი ცხენი დაბრუნდება უპატრონოთაო. ნახეს რომ ადღან-ჭანდილი, უცხოის იარაღით შეჭურვილმა ხელმწიფეს თავი დაუკრა და მარტო რქა მოედანს გაიკდო. დიდებულთა და სარდალთა დიდის პატავით მოედნის საშუალ მოჭეუენ. ადღაჭანმა მადლობა მოახსენა და გაბრუნდნენ. უშანგის ჯარადამ ვინც ადღაჭანი იხილა მოედანზედ, შემოდგომის თურცელივით თრთოლა დაიწეეს და კოცებუელი უურებდნენ, აქეთ-იქით ძლიერ ნაღარის ცემა შეიქმნა, ისე რომ ცის გრგვინსა ჰგავდა „ადღაჭანმა დიდის ხმით შეჭევირა! ვისაც უცვნივარ ხომ მიცნობს და ვინც ვერ მიცნობს აწ მიცნას! მე ვარ ადღან-ჭანდილი..! დღეს მოედანზე სხვა კაცი არ მინდა იმის გარდა რომელსაც თვისი სახელი ქვეუანაზედ სააბიარანად აღმოუჩინაო. ნუ ეშინიან მოედანზედ გამოვიდეს“. მაშინ უარამანი წინ წარსდგა ხელმწიფეს თავი დაუკრა და საომრათ გამოეთხოვა, ხელმწიფემ უბრძანა: წარვედ შეილო ღმერთი იყოს შენი მფარველი. რა უარამანი მოედანს

გამოვიდა დიდებულნი არ გაუშვა მოკლამდის და იქვე მადლობა მოასხე-
ნა, ყარამანს საჭმან ადამიანი და გარდანიქმანი წინ მიუძღოდნენ. რა ყა-
რამანი ადლაჭანის სიახლოვეს მივიდა, ადლაჭანს თავი დაუკრა, მან დი-
დის კასკასით გაიციხა და უთხრა: „მაგ ტანით საბუიჩანობის ტანტს
როგორ დასჯექი? არა გცხვენოდა და ან არ გეშინოდა ჩემი მოსვლისა?“
ასეა კი გაფრთხილდი, ჩემი ჭაბუკობა ნახე. რა ესე სთქვა, შუბი იდ-
ლიას მიიცა და ყარამანს შეუტია, შუბი რომ ახლოს მიუტანა, ყარამანი
ქარის მსგავსად, შეშვიაბარის გაფას გადაწვა და შუბი დასცა. რა ყარა-
მანისა ესეთი სიმსხე იხილეს, ორივე მხარემ დიდი ქება შეასხეს, კვა-
ლად ადლაჭანი მობრუნდა და ლახტი აიღო, მარტო რქის აგუნდასეგ შე-
დგა, იღათ-მალათისა და ბაბუთის სახელი ვხსენა (თავის დმერთებისა)
და ყარამანს შეუმადლა, ყარამანმა მნათობი გურსი თავს იფარა, მაგრამ
წუგულმა ასეთი დასცა რომ ყარამანს იმისთანა ძალა არავისკან დასდგო-
მოდა, შეშვიაბარი კოჭებამდის მიწაში დაიფლა და წელში ჩაიხრია,
რა ლახტი ლახტს მოხვდა, დიდი ხმა გამოხდა, როდესაც ყარამანმა შეშ-
ვიაბარი ესე შეწუხებული იხილა, დესი შემოჭკრა და მიწიდან ფრინვე-
ლივით გარდმოხატუნა. რა უმანგ ხელმოწყემ ყარამანის უფნებლად გა-
დარჩობა იხილა, დმერთს მადლობა შესწირა და სამხიარულს ნაღარას
ცემს დაწუბინა. რა ადლაჭანმა შემოხედა ნახა რომ ყარამანი უფნებლად
დგას, განრისხდა და სთქვა: ვაი შენ ჩემო თავო, განა კიდევ ცოცხალი
ხარ? ერთი ლახტი კვლად დაჭკრა, ყარამანმა თიღიფამუში იფარა და იგი
ლახტი იმ ხმადს ისე დასცა რომ ხმადმა ლახტი შუა გასწუვიტა და ყა-
რამანი კვლად უფნებლად გადაჩნა. რა რიგი ყარამანს ერგო შუბი მკლავს
შემოიღვა და მკერდს საკრავად მიუტანა. ადლაჭანმა შუბი რომ ახლოს
მისული იხილა, ფრინველის მსგავსად გადმოხატა და მიწას დაეცა, ყა-
რამანმა შეშვიაბარს თავი ვეღარ დაუჭირა, კასტდან და ვერა აწორა. და
ოქსავ მსრის ლაშქარნი გავერგვებით ქებას შე სხამდნენ, შემდეგ ყარამანი
შეორედ მობრუნდა და თავის მძიმე ლახტი მოუქნია, ადლაჭანმა ლახტი
იფარა, მაგრამ ესრედ ძლიერად დაჭკრა, რომ სწილო წელში ჩადრიკა და
პირიდან სისხლი ამოამთხია, ადლაჭანსაც დიდი ძალა დაადგა ისე რომ
სისხლის ოფლი გადმოედინა. ყარამანმა შესაჩეცა სცა, მაგრამ უფნებლად
გადურჩა, ორთავ ერთმანერთის ძალის გამომცდელეებმა დიდი ბრძოლა
გადინადეს, სამცდა ცამეტი იარაღი შეაღწეს და ვერა რომელმა აჯო-
ბა, ადლაჭანი განრისხდა, ცხენი გაიყენა და ყარამანს შემოუტია, ერთი
ლახტი შედგრად დაჭკრა, ყარამანმა ლახტი იფარა, რა ლახტი ლახტს
მოხვდა დასხლტა და ყარამანს მკერდს მოხვდა, იმ ლახტის ძლიერებამ

ისე შეწყუხა უარამანი რომ მშვიდდებო წელში მოხარა და გონება დაე-
ფანტა, თვალთ დაუბნელდა მაგრამ სიმხნეს ძალა მისცა და მსწრაფად
გონება შემოიკრიბა და შეშთაობარს დეზი ჰქონა და გადისლტუნა, მაგრამ
ესე ძლიერება არავისგან არ ენახა და უარამანთ თავის გულში აღლაჭანს
დიდ ქებას შეასხამდა. მაშინ უარამანმა გურზი ამოიღო და შეუტია ად-
ლაჭანს, შეუმალლა და დასცა, აღლაჭანი გურზს მოერიდა, გურზი მარ-
ტო რქას მოხვდა და მიწას შეანაყა, მსწრაფად გადისლტა და მიწას დადგა
ბასრ ხმაღს ხელი მოიფლო და შეშთაობრის ფეხების დაურევივინებას ლა-
მობდა. მაშინ საჭმანმა და გარდანქემანმა შესძახეს, ფალეფანო! არიქა
შეშთაობარი მოგიკლათ, ვიდრე ისინი ამას იტოოდნენ, უარამანი გარდას-
ტა და წინ მიეკება. რა აღლაჭანმა უარამანი ქვევითი იხილა, თვალში ითუქ-
სავატა, სმალი მოუქნია, უარამანმა თილიყამუხამი მიაგება, რა სმალი ხმაღს
მოხვდა აღლაჭანის ხმალი შეიმუსრა და სამად გადატყუდა, წყუელი ად-
ლაჭანი გამწარდა და ნატუხი უარამანს პირს შეახალა, რა პირს ეტა ძა-
ლთან დაიჭრა და სისხლი გადმოედინა, მაშინ გამწარებულმა უარამანმა
ხმალი ჩააკო, მისწვდა და ასეთი მუშტი დაჭკრა რომ აღლაჭანს სული
შეუკუბდა, თვალთ დაუბნელდა და წასაქცევად ლამობდა და სიმხნით თა-
ვი შეიმაგრა. რა გონებას მოვიდა; აღლაჭანმა იარაღი აღარ იხმარა, მი-
ვარდა და უარამანს სარტყელში ხელი ჩაავლო, უარამანმაც მას ჩაავლო
და ისე ირკინებოდნენ, რომ ჯუბა, ჯაჭვი და ჯაფმანი სულ ფოლადისა
ერთმანერთს შემოახიეს, ძლიერ-და-ძლიერ ზიდავდნენ ერთი-მეორეს მაგრამ
ვერც ერთმა ადგილიდამ ვერ დასძრა, ვგონებ მკითხველნო იმ ფალე-
ვანთ უკეთუ ყავის მთისათვის ისე ავწიათ, იმასაც დახგრევდნენ, მა-
გრამ ბოლოს დროს ღვთის ძალით უარამანმა სძლია, იმ უამად ცოტა
უკლდა ადგილიდამ მოშორებას, მაგრამ ასეთი ძალა დაადგა რომ შუბ-
ლის ძარღვი შესქდა და პირს სისხლი გადმოედინა, ესე ირკინებოდნენ,
ორნი ლომგულნი და დიდათ დვილაღნენ, რა ვერც ერთმა ვერა სძლია
გაუშუგს და გაშორდნენ ერთმანერთს. უარამანი არა მცირე მწუხარებას
მიეტა. საჭმანმა დაუძახა: ფალეფანო რათ შესწუხდი? საბოთ ღვთის ძა-
ლით, შენგან იძლევაო, აღლაჭანი კვალად განრისხდა და შემოუტია უ-
არამანს მკერდსა ძლიერად მუშტი დაჭკრა, ისეთი ძალა დადგა რომ უ-
არამანს ნათვაზი შეკრა და ვეღარ ამოისუნთქა და თვალთ დაუბნელდა. რა
უარამანი გონებას მოვიდა, უარამანმაც მუშტი დასცა შუბლში და შუბლი
გაუხეთქა, აღლაჭანს პირს სისხლი გადმოსჩქეფდა, შეწუხებულმა აღლა-
ჭანმა ხანჯალს ხელი გაიკრა და უარამანს შეუტია კვალად, უარამანმა მა-
კელი შესტაცა და მაჯის შემავრება მოინდომა მაგრამ ვერ შეიმაგ-

რა, ისე ძლიერად დაჭკრა რომ საშლავის თოვლი კახეთს და ყარაშინი კლავში დაიჭრა ოთხი თითის სიღრმედ, კანრისხეუდმა ყარაშინმა ასეთი სილა შემოჭკრა რომ ხანჯალი ხელიდამ გაფარდა და შესძახა: ჭეო, შე წუეულო კერპო! ხანჯლის ხმარებს მე გიჩვენებდი მაგრამ არ გამოგი-მეტე. ამ სიტყვის თქმა იყო და ორსავე მხრის ნაღრასა ჰკრეს. აღლან-ჭანმა ყარაშინს შესძახა: დღეს შენმა ბედმა იმუშავა რომ შენი აღსასრუ-ლი დღეს არ მოხდა, მომეწონე კარგი ფაჟკაცი უოფილხარ, ჩემი ბაბუ-თის მადლმა, და ხვალ კი მოემზადე რომ ძლიერი ომი მოგვიხდება მე და შენ. რა ესე უთხრა, ყარაშინმა შესძახა: „ჭეო, ფალეგანო! საბოლო ღმერთსა ვფიცავ, კარგი მამაცი ხარ მაგრამ, შემოჭმედისაგან მაქვს იმე-დი რომ შენს ძლეულობის ქვეშ არ დამაგდებს“. შემდეგ ყარაშინი აქეთ წამოვიდა და აღლან-ჭანდილი იქით, საომარო აბჯარა შემოისწრეს და სალხინო შემოსეს, სარდალნი დი ფალეგანნი თავ-თავის ალაკს დასხდ-ნენ. ყარაშინი თავის კარავში მიბრძანდა. საჭამანმა და კარდანქეშანმა, ჭუ-ბა-ჭავჭავი და ჭაჭვი გაიხადეს, მკლავის დაჭრილობას სმრთელეუბელი წამალი დასდევს, შეუხვიეს და ბრწყინვალე შესამოსელით შემოსეს, სარ-ვიხურამანმა ხელ-პირი დაბანინა ბრწყინვალე თავი დახურა, საჭამანი და კარდანქეშანი წარმოუდგინენ და ხელმწიფესთან შევიდნენ, უშანგ-ხელ-მწიფე ფეხზედ წარმოუდგა, ამანაც თავი დაუკრა და თვისსა სკამს და-ბრძანდა და მეჯლისი გაიმართა და დუინის სმას ხელი მიჭყვეს, ხელ-მწიფემ ყარაშინს მოახსენა: სააბუიარანო, აღლან-ჭანდილი როგორ და-გხვდა ან ვითარი ფალეგანია? ყარაშინმა მოახსენა: „ხელმწიფე, შენსა თავსა ვფიცავ რომ იგი ფალეგანი, თუ ჩემზედ უნამეტნავესი არ არის, ხალეები არ არის, იმან რომ ინებოს და თქვენს უმადლესობას თავ და-უკრავდეს, სააბუიარანობას იმას მივსტევი და მე იმას ქვევით დავუდებ-ბოდი, ღმერთთა მოწამე დღევანდლამდის, მე მაგისთანა ფალეგანს არ შე-გხვედრილვარ“. რას ბრძანებ, დღეს იმ ფალეგავმა მთლათ შემშალა, მაგ-რამ საბოლო ღმერთმა დამითარა.

რა კარდანქეშანმა ესე გაიგონა, წამოდგა და ყარაშინს მოახსენა: დღეს ჩემი ჭავრი აღლანჭანს შენზე უფროა, ახა ამას იქით ჩემზე ნურას იტყვი, თორემ აღლანჭანი ხომ ჩანე, უარესი მოგივიაო. იქ მისდომთა ხელმწიფეთა, ხოსროფშირმა და სარვიხურამანმა, ბევრი იტინეს და ყარა-შინსაც გაეცინა, უთხრა: ჩემო კარდანქეშანო, ეგ დიას კარგია, მაგრამ რადის ხელით დაკიდებულს ორასი მათრახი ხომ არა მცემიაო“. აღლან-ჭანმა თუ ორი დამკრა ერთი მაინც მე დაგვარ, მაგრამ ეს უმძველად იტყოდე რომ შენ აღლანჭანს ვერ გადურჩები. მტირე ხანს ამ ხუმრობით


შეექცინე და შემდეგ მეჯლისი მოიშალა და ყველა თავ-თავისად წარვიდა
ნენ და საომრად მზადება იწყეს.

იქით მხარეს ომიდამ გაბრუნებული რაიანში, თავის ტახტს
ბრძანდა და ადლაჭანმაც საომარი იარაღი გაიხადა და ხელმწიფის კარავს
მოვიდა, ხელმწიფე ფეხსედა წარმოუდგა, იგი მივიდა და სააბეიჩანობის
ტახტს დაბრძანდა, მეჯლისი გაიმართა, რაიანმა უკრამინის ამბავი ჰქო-
ნა, იმის ფაღვანობა როგორ სცანო? ადლაჭანმა მოახსენა: ხელმწიფე
ათა ათასად საქებულნი არიან მისნი მშობელები რომ იმისთანა საქებულნი
მამაცი ხყოფათ გამოუღიათ, ჩემს დღეში მაგისტანს ძლიერს ფაღვანს
არ შევერიდვარ და სწორედ რომ სააბეიჩანობის სახელის დირსია, მა-
გრამ შენის დოვლათით და ჩემის დვთის ბაბუთის შემწეობით, მე ვსძლევი,
ამისთვის რომ რამტონიც ვშინჯე უფრო და უფრო მოუძღურდა, სიბრ-
ველიმ გაგვიარა თორემ თავს წარვეკეთავდი, ამ სიტყვებით გაათავა ადლა-
ჭანმა. შემდეგ მათი მეჯლისიც მოიშალა და საომრად მზადება იწყეს.
რა დილა გათენდა, ორსავე მხრის ლაშქარნი ამხედრდნენ, მოვიდნენ ხელ-
მწიფენი და თავ-თავის განწესებულს ალაგს დასდნენ, დასტები დაწვეს
წესისამებრ უკრამინი და ადლაჭანიც გამოვიდნენ. იმ დღეს სხვა არა უხ-
მარიათ რა ერთმანერთზე, მხოლოდ კურხით სცემდნენ, ვიდრე დაღამე-
ბამდე, ას-ოცი ერთმა სცა და ას-ოცი მეორემ მაგრამ ვერა რომელმან
სძლია. რა დაღამდა გასაყარსა ნადარსა ჰქრეს და გაიუარნენ. რა დილა
გათენდა ორნივე მოედანს გამოვიდნენ, იმ დღეს საღამომდის იბრძოდეს
მაგრამ ვერა რომელმან სძლია, მოკლედ მოგახსენოთ, ამ უოფით ცამე-
ტი დღე იბრძოდეს მაგრამ ვერა რომელმან სძლია. რა შეათცამეტე დღეს
უკრამინი ომიდგან ცარე შემოიქცა დიდათ განრისხებული იყო და თავის
თავს ეუბნებოდა, ღმერთმა შეგარცხინოს ჩემო თავო, ქვეყანასედა შენი
სახელი მოიფინა და ცამეტი დღე არის ასეთ უსჯულსო კერძს ებრძვი
და ომი ვერ გაუსწორე, გაამაყებული გადასვალ და უზირველესს სკამს
დაჯდები. ამ მწუხარებაში მეოფმა აღარც საომარი იარაღი შეიხსნა და
აღარც სადგომს შებრუნდა, ხელმწიფის წინ შემოვიდა თავის სკამს აღარ
დაჯდა, ხელმწიფის წინ მიწას დასჯდა. მაშინ ხელმწიფემ უბრძანა, სა-
აბეიჩანო რატომ შენს სკამს არ დასჯდებიო? მან მოახსენა: ხელმწიფეო,
მე ჩემი თავი ვსცან რომ იმ სკამზედ ჯდომის დირსი არა ვარ, ამის-
თვის რომ ცამეტი დღეა, ერთ კერძს ვებრძვი და ომი ვერ გაუსწორე,
დიდით ბრძოლის ველზე მივალ შევებრძვი და საღამოს სირცხვილეული
გამოვებრუნდები. დიდებულო ხელმწიფეო, საბოთ ღმერთსა ვოფიცავ ჩემს
მოწყალეს, თუ ჩემზედ ხელი არ აუღია და იმ წყეულმა თუ ხვალაც ომი

კამისწორა, უტილოდ ჩემს თავს მევე მოვიკლავ მოედანზედ. ესე სოქვა და იმ ღამეს არცა ჭამა და არცარა სუა, არც დაიძინა. ხელმწიფე, სარკინურამანი, ხოსროშირი და სხვანი უარამანის ფიცსედ დიდად შესწუხდნენ, აღარც მათ დაიძინეს და არც მოშორდნენ იმ ღამეს უარამანს.

იქით მხარეს, აღლაჭანმა რაიაზამს მოასუნა: „ხელმწიფეო, ხვალ უარამანი უეჭველად უნდა მოვკლავ და უმანკს შენის ძმებით ცოცხალს მოკართმევ“, იმ ღამეს მოისვენეს. რა დილა გათენდა, საომარის ნაღარის ცემა შექმნეს, მეომარი ლაშქარი რაზმებათ დაეწივნენ. აღლაჭანი მოედანს გამოვიდა და უარამანს შესძახა: „დღეს მე და შენი გაჟრის დღეა ან დღეა შენი უნდა ატირდეს ან დედაჩემი“. ამ ჟამად უარამანი მსწრაფად გამოვიდა და საჭმანი და კარდანქეშანი წინ წამოუძღვნენ, კარდანქეშანმა უთხრა: სააბურიანო, მე თქვენი ეკეთი შეწუხება და გაჟავრება რომ მცოდნოდა, აღლაჭანს იმ ღამესვე თავს წარგვეთლი. უარამანი განრისხებული უმეტესად განრისხდა, ასე რომ ცეცხლები ელვა დაიწყო და შესძახა: „საძაგელო ეშმაკო, სჯობს რომ დღეს მოედანზე არ გამოიყოფიე ჩემს მოზირდაზირეთ, ვგონებ რომ მოახლოვებულა შენი აღსასრული“. კარდანქეშანმა რომ იხილა უარამანის იმ გვარი განრისხება ძლიერ შეშინდა ისე რომ ერთის გადახტომით ათ ფაღანგს ხტებოდა და მწუხარედ თავის ჭარისკენ მიძვრებოდა. უარამანი აღლაჭანს მიუხტა და უთხრა: „ფაღვანო მოდი მიიღე ჩემი კეთილი რჩევა, ამდენ უმსგავსობას ნუშვრები, მე მეძმე და უმანკს დამორჩილდი, თუ შენის თავის სიცოცხლე გსურს, თუ არა თავს მოგჭრი და შენს სიცოცხლეს მოვსპობ“, რა აღლაჭანმა ესე მოისმინა უარამანისაკან, კაიციხა და ესე უთხრა: „მე დღეს ამ მუქარით ვარ გამოსული, რომელიც შენი სიცოცხლის ფრინველი უნდა გავაფრინო და შენ რას ბოდავ“!? ესე თქვა თუ არა, თავის მიძიმე ლახტი სამ გზით სცა უარამანს და გერა ავნორა. შემდეგ უარამანმა სცა და გერცარა იმან ავნო, ერთმანეთზედ სამოცდა შვიდი იარაღი იხმარეს და გერა რომელმან სძლია. მზის ჩასვლას მტირე-ლა უკვდა, მამინ განრისხებულმა უარამანმა შემფაობარი კაიკლო, ღვთის სახელი ასუნა, მიძიმე ლახტი ხელთ იხურა და აღლაჭანს დასცა, აღლაჭანმა ლახტი ითარა და, რა ლახტი ლახტს მოხვდა საშინელი ცეცხლი გამოხდა, უარამანის დაკრულ ლახტს ვეღარ გაუძლო აღლაჭანის მარტო-რქამ, მარტო-რქა და აღლაჭანი ორნივე მიწას დაეცნენ, აღლაჭანი მსწრაფად ზეზე წამოხტა განრისხებული და უარამანს მოუხტა, სარტყელს ხელი ჩაავლო, მამინ უარამანიც ჩამოხტა და ეს ორნი, მედგრად ირკინებოდნენ, მამინ აღლაჭანმა უარამანი სამჭერ აზიდა, მავრამ ვერცა თუ ადგილიდამ შესძრა.

რა უარამანმა თავისი თავი ესე ძნელ საქმეში წახა, ზე ახელდა ტათ მ-
 მართა და შემოქმედს თავი შეაჯუღრა და დიდის ხმით სახელი ღვთის
 ახსნა იმ ხმის მისმენელთ ასე გუონათ რომ ცა ქვეყანას დაეცა, თ-
 ხივ მხარე შეიძრა, მრავალნი მარტო რქანი დაფთხნენ და ფალევენი
 ძირს გადმოსცვიფდნენ და უცნობო შეიქმნენ. ამ ღვთის სახელის ხსენე-
 ბესე უარამანმა ადლანჭანი შედგრა: აზიდა, თავის სისწორ აიყვანა და
 ძლიერ დასცა ისე რომ თუმცა დიდი მთა დასცემოდა ქვეყანას ისეთი ხმა
 გამოინდა, ადლანჭანს სული შეუგუბდა და ხმა ვეღარ ამოიღო, შემდეგ
 ადლანჭანმა კონება შეიკრიბა და ფეხზე წამოუდგა უარამანს და ხელი გა-
 იკრა ხმაღს და უარამანს შეუმაღლა, უარამანმა ხმალი მიაგება, მაშინ უ-
 რამანი მისწვდა საქონრეში გამოიწია და თავი ტანიდამ განუშორა. შემ-
 ფაისარზე შეჯდა და ადლანჭანის თავი შუბს ააცვია და უმანგს მოართვა და
 მოახსენა: „ნიადგამც თქვენი მტერი ესრედ თავ წარკვეთილი გეჩახოს.
 უარამანმა ადლანჭანის თავი რომ ხელმწიფეს მოართვა, მსწრაფელ გამო-
 ბრუნდა მოედინისაკენ და თვისთა ფალევენთა შესძახა უარამანმა: „ჰეი, ფ-
 ლევენიო და ძმანო! ჟამია ახლა რომ რაიზამის ალმები ძირს დავსცეო.
 რა ადლანჭანის მოკვეთილი თავი იხილეს ფალევენთა, უარმა და შირფე-
 უარმა ზატრთისათვის გუელდამწვარი და განრისხებული ხუთი ათასის კ-
 ცით უარმანს და მისთა ამხანგებთ შემოუტოეს, როდესაც უარამანმა იხი-
 ლა თავიანთზე მომავალი ზღვის ოდენი ლაშქარი, ღვთის სახელი ახსე-
 ნა და შივ გაერია, ვით გავაზი მტრედის გუნდს, ისე ჰხობდა უწყა-
 ლოდ, ზოგს აიყვანდა ცხენიდამ და ბურთივით ისროდა და ესრე იძხ-
 და, თქვენ ხემის ხელიდამ სად გარდიხევეებითო. რა უმანგ-ხელმწიფემ
 ესე იხილა, ხოსროვიძირს, უარამიჯინს, ვაჭარს და უართანს უბრძანა:
 სამი ათასის დეშტი-ვიფხადის ჯარით მიეშველენით, მათ მსწრაფად შე-
 უტოეს და ისეთი მუსვრა შეიქმნა რომ სისხლის მდინარეები გაჩნდნენ,
 ცხენსა და კაცს იტაცაუდა. იმ არეულობაში უარი ფალევეანი ხოსროვიძირს
 შეხვდა, ხოსროვიძირმა სამი ძლიერი ლახტი დაჭკრა და ვერა ავნორა.
 ხოსროვიძირი განრისხდა და ძლიერი ხმალი დასცა და შუა გაჭკვეთა,
 ამ ჟამად უმანგის ფალევენებმა, ჯალაირის ლაშქარს, რისხვა ღვთისა მი-
 აუენეს. რაიზამმა რომ ესე იხილა, დაღობებულმა იფიქრა, თუ ამ ლაშ-
 ქარს ჯარი მივაშველო უმანგიც მოაშველებსო და საქმე ავად მოვაო, ის
 სჯობს რომ გასყარს ხადარს ვაკურვეინოვო. მაშინვე უბრძანა და გას-
 ყარს ხადარას ჰქრეს და ორივე ლაშქარი ერთმანერთს გაეყარნენ და თავ-
 თავისად წარვიდნენ, რა თვის ბინაზე მივიდნენ, საომარი აბჯარი გაინ-
 დეს და სამეჯღასო შეიმოსეს, ხელმწიფის კარს მივიდნენ და თავთა



ვის განწყობებს ალაკს დასხდნენ შვირეს ხანს და შემდეგ უარამანი მოვიდა. ხელმწიფემ რომ იხილა უარამანი მომავალი, ტახტიდამ ძირს ჩამოვიდა და უარამანს წინ მიუტევა, უკლს მოქცევა და თვალები დაუკონხა, ესე უთხრა: საბოქინო, დღეს თქვენ ასეთი საქმე შექმნით რომ მეორედ მოსულადმის არ დაიფიქვებ, თავისი თავი მოიხადა და უარამანს უბოძა, და რაც ამ დღეს ტახტ კვდა ისიც, უარამანმა ხელმწიფეს მუხლსა აკოცა. ხელმწიფემ ბრძანა და მუჟღისა გაიმართა ღვინისა და ღვინის სმას შეეჭნენ, ხელმწიფე, დიდებულნი, სარდალნი და ფაქეჟანნი უარამანს ქუბას შეასხავდნენ და იმ დამეს ამ ვოფით შეეჭნენ.

იმით მხარეს რაიასამი ომიდგან გაბრუნებული მივიდა და თავის სადგომს განისვენა, რა დილა გათენდა სართაფ-აქიმი ვეზირი იხმო და უმანგ ხელმწიფესთან გაგზავნა, ორმოცი დღის პაემანი სთხოვა, სართაფი წავიდა და უმანგს პაემანი განუცხადა: უმანგმა სართაფ-ვეზირს უბრძანა: „ვეზირი! მინდოდა ხვალ ამისი საქმე დამესრულებინა, მაგრამ რადგანც დასაგრული კაცია — აღარ გამოკამეტებ და რაც უთხოვია აღმისრულებია“. ვეზირმა თავი დაუკრა გამოეთხოვა და წამოვიდა. ხელმწიფემ დიდებულთა და ფაქეჟანთა უბრძანა: ამ ორმოც დღეს ომი აღარ მოხდება განისვენეთ, იღვინეთ, ვისაც ნებადეს ჩადირობით, ვისაც როგორც უნდოდეს ისე შეეჭნეს.

აქ საღისაღლისა და არქანის მოსვლა, რაიასამის შემწედ და მათის აიარის ვახსოვსისაგან შაბრანგის სიკუდილი.

